211/1918/2 №62

საქართველოს პარლამენტი.

სტენოგრაფიული ანგარიში.

62 სხდომა.

სამშაბათი, ნოემბრის 19, 1918 წ. ტფილისი. სასახლე.

თავმჯდომარეობს პარლამენტის თავმჯდომარე **ნიკოლოზ ჩხეიძე.**
მდივნობს მდივნის ამხანაგი **იოსეს აბაკელია.**
პრეზიდიუმში არის თავმჯდომარის ამხანაგი **იოსებ ბარათაშვილი.**
კრება იხსნება 12 საათსა და 30 წუთზე.

თავმჯდომარე. კრება გახსნილი გახლავთ. გთხოვთ დაბრძანდეთ. (მდივანს) გთხოვთ წაიკითხოთ ცნობები.

სოც.-ფედერალისტთა ფრაქციის განცხადება კომისიის წევრთა შეცვლის შესახებ.

მდივანი (კითხულობს) სოციალისტ-ფედერალისტთა სარეგ. პარტიის საპარლამენტო ფრაქცია ამით გაუწყებთ, რომ ფრაქციიდან სამხედრო კომისიის წევრად ნაცვლად **იოსებ გედევანიშვილისა** ინიშნება ამ რიცხვიდან **სამსონ დადიანი**; საფინანსო კომისიაში ნაცვლად მიხ. ყაუხჩიშვილისა, გრიგოლ რცხილაძე და სვიმონ მდივანის ნაცვლად ივანერე ღლონტი; საკონსტიტუციოში ნაცვლად გრიგოლ რცხილაძისა ალ. წერეთელი".

პარლამენტი ცნობად იღებს ამ განცხადებას.

ცნობა კომისიებში გადასაცემ კანონ-პროექტის შესახებ.

1. **განათლების** მინისტრის კანონ პროექტი ტფილისში საბავშვო ბაღის გახსნის შესახებ.

გადაეცეს განათლების და საფინანსო კომისიებს.

ღღიური წესრიგი.

1. **საბოლოო** ტექსტი სხვა და სხვა უწყების სკოლათა განათლების სამინისტროს უწყებაში გადასვლის **კანონისა.**
მომხსენებელია პარლამენტის წევრი **შალვა ამირეჯიბი.**

2. **საბოლოო** ტექსტი სახაზინო პალატათა გაუქმებისა და გადასახადთა და ხაზინის სამმართველოს დაარსების **კანონისა.**
მომხსენებელია **შ. ამირეჯიბი.**

3. **საბოლოო** ტექსტი ორასი მილიონი მანეთის ბონის გამოკეთმის **კანონისა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომხსენებელია **შ. ამირეჯიბი.**

4. **საბოლოო** ტექსტი პირველ-დაწყებითი სკოლების გახსნის **კანონისა.**

მომხსენებელია **შ. ამირეჯიბი.**

5. **საბოლოო** ტექსტი გურიის უმაღლეს დაწყებითი სკოლებისათვის ერთ-დროულ დახმარებისა.

მომხსენებელია **შ. ამირეჯიბი.**

6. **საბოლოო** ტექსტი—საქციზო უწყების ორგანიზაციისა.

მომხსენებელია **შ. ამირეჯიბი.**

7. კანონ-პროექტი—საჩხერეში ცეცხლით დაზარალებულთა დახმარების შესახებ.

მომხსენებელია **ი. კაკაბაძე.**

8. კანონ-პროექტი—სამთო სამმართველოს დაარსებისა.

მომხსენებელია **დ. შარაშიძე.**

9. კანონ-პროექტი—საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებისა ყველა ტიპის და საფეხურის სახელმწიფო და კერძო სკოლებში.

მომხსენებელია **ლ. ნათაძე.**

10. **კანონ-**პროექტი—სამკურნალო მადნეულ აბანოებისა, წყლებისა და ტალახების სახელმწიფო კუთვნილებათ გამოცხადების შესახებ.

მომხსენებელია **კ. ნინიძე.**

11. კანონ-პროექტი სახელმწიფო კონტროლის დებულებისა დროებითი შტატებისა და რევიზიის წესდებისა.

მომხსენებელია **გ. რცხილაძე.**

12. **შეკითხვა** პარლამენტის წევრის რევაზ გაბაშვილის მთავრობისადმი ხიდების აფეთქების განზრახვის შესაგებ.

თავმჯდომარე პარლამენტის წევრი შ. ამირეჯიბი. გთხოვთ წაიკითხოთ მხოლოდ ის ცვლილებები, რომელიც შეტანილია.

კანონი სხვა და სხვა უწყების სკოლათა განათლების სამინისტროს უწყებაში გადასვლისა.

შალვა ამირეჯიბი. (კითხულობს) კანონ-პროექტი სხვა და სხვა სკოლების განათლების სამინისტროს უწყებაში გადასვლისა.

მუხლი პირველი. ამ მუხლში ჩვენ სიტყვა **გადადის** შევცვალეთ სიტყვით **გადვიდეს.**

მუხლი მეორე. აქ არის შეცვლილი მრავლობითი რიცხვი მხოლოობითად, პარლამენტის მიერ მიღებულ ტექსტში არის ნათქვამი **ექვემდებარებიან** სარედიქციო კომისიამ მიიღო სიტყვა **ექვემდებარება.**

თავმჯდომარე. ცოტა ხმა მაღლა, თუ შეიძლება.

საბოლოო ტექსტი სახაზინო პალატათა გაუქმებისა გადასახადთა ხაზინის სამართველოს დაარსების კანონისა.

შალვა ამირეჯიბი. (კითხულობს) მუხლი პირველი. ტფილისისა და ქუთაისის სახაზინო პალატები გაუქმებულ იქმნეს. ამ პალატათა მოხელენი, რომელნიც ახალს თანამდებობაზე არ დაინიშნებიან შტატ გარეშე იქმნას დატოვებულნი საერთო წესით.

მუხლი მეორე. დაარსებულ იქმნას ტფილისში სამართველო გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მუხლებში სიტყვები არის მხოლოდ გადასხმული.

პირველი განყოფილება **მუხლი** 1. სამართველო შესდგება სამართველოს უფროსისა, მისი თანაშემწისა, განყოფილებათა გამგეებისა, მდივნისა და სხვა მოსამსახურეთაგან, რომელთა რიცხვი და ჯამაგირის რაოდენობა ნაჩვენებია ამასთანავე დართულ შტატებში.

მუხლი გახოავთ უცვლელად მიღებული.

მუხლი 2. სამართველო შესდგება ოთხი განყოფილებისაგან, რომელთა უახლოესი ხელმძღვანელობა განყოფილების გამგეებს ეკუთვნის. განყოფილებათა გამგეებს ეკუთვნის. განყოფილებათა შორის მუშაობის განაწილება და ერთი განყოფილებიდან მეორეში საქმის წარმოების გადატანა დამოკიდებულია სამართველოს უფროსისაგან.

ეს მუხლიც უცვლელად არის მიღებული ზოგიერთ სიტყვის დაბოლოვების შეცვლის გარდა. მუხლი 3. სამართველოსთან ხდება საერთო საკრებულო სამართველოს უფროსის თავმჯდომარეობით და მის თანაშემწისა და განყოფილებათა ყველა გამგეების მონაწილეობით.

მუხლი 3 უცვლელად არის მიღებული. მეოთხე მუხლი უცვლელადაა მიღებული. სამართველოს უფროსი თანამდებობაზე ინიშნება და დათხოვნილ იქნება რესპუბლიკის თავრობის მიერ, ფინანსთა მინისტრის წარდგენით. სამართველოს უფროსის თანაშემწესა და განყოფილებათა გამგეებს თანამდებობაზე ნიშნავს და ითხოვს ფინანსთა მინისტრი, სამართველოს სხვა მოსამსახურეებს კი—სამართველოს უფროსი.

პარლამენტის მიერ მიღებულ ტექსტში ნათქვამია **ინიშნება**, ჩვენ ვიხმარეთ **დაინიშნება**.

მუხლი მეექვსე. სამართველოს უფროსის მოვალეობას სათანადო შემთხვევაში, დროებით ასრულებს მისი თანაშემწე, ხოლო განყოფილების გამგისა—ერთ-ერთი საქმის მწარმოებელთაგანი სამართველოს უფროსის განკარგულებით.

ეს მუხლი, ბატონები, უცვლელად არის მიღებული. მუხლი მეშვიდე. სამართველო ვალდებულია რესპუბლიკის თავრ მიწა-წყალზე გადაწყვიტოს და აწარმოოს ის საქმე, რომელიც მომქმედი კანონებით სახაზინო პალატის ხელში იყო, აგრეთვე თავს იდვამ გუბერნიის სამართველოს მოვალეობა იმ ქონების აღწერა-შეფასებისა და საჯაროდ გაყიდვისათვის, რაზედაც უდავო წესით ასაკრები გადასახადია დარჩენილი.

პარლამენტის მიერ მიღებულ ტექსტში ნათქვამი იყო, **სამართველო ვალდებულია** ჩვენ ვიხმარეთ **სამართველოს ევალება**. დანარჩენში სიტყვებია გადასხმულ-გადმოსხმულია. მუხლი მერვე. ამიერიდან ლისპობა სახაზინო პალატის ის საქმეები, რომელიც სხვა და სხვა წოდებრივ საზოგადოებებზე მიწერას ან და ასეთ საზოგადოებიდან გამორიცხვას ეხებოდა. ყოფილ მდაბიო მოქალაქეთა და გლეხთა მიერ შვილობილების აყვანა და ქორწინების გარეშე შობილ ბავშვთა გვარისა და მამის სახელის მიკუთვნება, აგრეთვე ყოფილ აღდგენა მოხარკე წოდების პირთა მიერ დაკარგულ გვარისა, სახაზინო პალატიდან გადადის საოლქო სასამართლოში.

კომისიამ მხოლოდ სტილისტიური ცვლილებები მოახდინა ამ მუხლში. მუხლი 9. ანგარიშის გამოქვეყნებისაგან განთავისუფლებულ ვაჭრობა-მეწყვილობის დაწესებულებაზე დარჩენილ დამატებითი სარეწავი გადასახადის და მოგების ზრდაზე დროებითი გადასახადის ანგარიშის წარმოება დაეკისრება ხაზინას, ხოლო მოგების ზრდაზე დროებითი გადასახადის აღრიცხვა და ორივე გადასახადის ხარჯის ფურცლების დაგზავნა ვალად აძევს გადასახადთა ინსპექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორს, მუხლი მიღებული არის უცვლელად, მხოლოდ ზოგიერთ სიტყვის დაბოლოვება არის შეცვლილი. მუხლი 10. ორთქლით მომუშავე ქვაბებზე დაწესებულ გადასახადების აკრების მეთვალყურეობა ტ მათზე გაწერილ გადასახადთა ანგარიშებს წარმოება სამრეწველო.—დებულების 76 მუხლთან გაგრძ. გადადის ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს ადგილმდებრივ აგენტების გამგებლობაში.

ამ მუხლში ზოგიერთი სტილისტიური შესწორებანია შეტანილი მხოლოდ სამართველოს საერთო საკრებულოს გამგებლობაში შედის. ჩვენ შევცვალეთ.

სამართველოს საერთო საკრებულოს ხელში გადადის. მუხლი 1. იმ ქონების საჯაროდ გაყიდვა, რაზედაც დარჩენილია სახელმწიფო გადასახადი. მუხლი 2. ნარდად ასაღებ სამუშაოს იჯარით გაცემა.

უცვლელადაა მიღებული მუხლი 3. ხმარებაში გამოსული ან უვარგისი საღერბო ნიშნების, საღერბო ქაღალდების, ფულის აღნიშნულობის ბლანკების, შემოსავლის ჟურნალის ფურცლების და სხვა ფასიან ბლანკებისა და ქაღალდების მოსპობა.

პარლამენტის მიერ მიღებულ ტექსტში არის ნახმარი სიტყვა: **„ასიგნოვკა“**. სარედაქციო კომისიამ ასიგნოვკის მაგიერ იხმარა **ფულის აღნიშნულობის ბლანკი.**

თავმჯდომარე. უკაცრავად, როგორ არის ნათქვამი?

მომხსენებელი. ფულის აღნიშნულობის ბლანკი.

თავმჯდომარე. აი, ასეთი ცვლილება გახლავთ შეტანილი **ასიგნოვკას** მაგიერად არის ნახმარი **ფულის აღნიშნულობის ბლანკი.** ვის ნებავს სიტყვა? პარლამენტის წევრი რ. გაბაშვილი.

რევაზ გაბაშვილი. (დ. ნ. დ.) ჩვენ ვფიქრობთ, რომ **ბლანკი** და **ასიგნოვკა** მაინც ერთმანეთს არ ჩამოუვარდება. **ასიგნოვკა** შეიძლებოდა გამოგვეცვალა თუ ქართული სიტყვას ვიხმარდით. თუ ვიხმარებთ **ბლანკს**, არაქართულ სიტყვას, მაშინ სჯობია **ასიგნოვკა** დარჩეს. მე კი მგონია, რომ უნდა შეგვეცვალა სიტყვით, რომელიც უფრო შეეფერება ქართულ ენას. ჩემის იზრით სჯობს ვიხმაროთ თუ გნებავთ, **ბლანკისა** და **ასიგნოვკის** მაგიერად—სიტყვა **ბარათი.**

თავმჯდომარე. ვის ნებავს კიდევ სიტყვა ამის შესახებ? მომხსენებელი.

მომხსენებელი. მე მომხრე გახლავარ, რომ დარჩეს ისე, რა შესწორებაც მოახდინა სარედაქციო კომისიამ. რაც უნდა იყოს, განსხვავება არის, ამ შემთხვევაში, ვიხმარებთ **ბლანკს** თუ **ასიგნოვკას.** ამ სიტყვაში ტიპიური რუსულ სიტყვის დაბოლოვება გახლავთ, როდესაც „ბლანკი“ მიღებული არის ყველგან და საერთაშორისო სიტყვთ არის გამხდარი. **ბლანკი** ისეთივე სიტყვაა, როგორიც არის **ასიგნოვკა** (გაბაშვილი: **ასიგნოვკა** რუსული სიტყვა არ არის!) ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მხოლოდ რუსული არის ეს სიტყვა **ასიგნოვკა.** შეიძლება დაარჩინოთ ეს სიტყვა, მაგრამ არავითარი ლოგიკური მოსაზრება არ არის იმაში, რომ დარჩეს სიტყვა **ასიგნოვკა** და არა **ფულის აღნიშნულობის** ბლანკი.

თავმჯდომარე. ნება მიბოძეთ, კენჭი უყარო კომისიის მიერ შეტანილ ცვლილებას: **ასიგნოვკა**-ს მაგიერათ ვიხმაროთ მეორე: **ფულის აღნიშნულობის ბლანკი.** გთხოვთ ასწიოთ ხელი. ვინ არის მომხრე?

ამნაირად, კომისიის წინადადება რჩება.

მომხსენებელი. მე-4 და 5 მუხლი უცვლელად გახლავთ დატოვებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-6 მუხლი აქ უფრო სტილისტური ცვლილებაა. მე-7 და 8 მუხლი ამ-ოებულია უცვლელად.

მუხლი მე 9. ყველა საქმეები, რომელთა საერთო საკრებულოში გარჩევა აუცილებლად იქნება ცნობილი ფინანსთა მინისტრისა ან სამმართველოს უფროსის მიერ.

სარედაქციო კომისიამ ეს მუხლი ასე შესცვალა: 9. ყველა საქმეები, რომელთა საერთო საკრებულოში გარჩევა მიჩნეული იქნება აუცილებლად ფინანსთა მინისტრისა და სამმართველოს უფროსის მიერ.

მე-10 მუხლი უცვლელად არის მიღებული.

მუხლი მე-11. უფლების საზღვარი, მოვალეობის ფარგალი და პასუხისმგებლობა სამმართველოს უფროსისა, მის თანაშემწისა განყოფილებათა გამგეებისა და სამმართველოს სხვა მოსამსახურეთა განმარტებულია იმ წესებში, რომელიც დაკანონიერებულია მომქმედ დებულებით სახაზინოს პალატის გამგისა, მისი თანაშემწისა, განყოფილებათა უფროსებისა და სახაზინო პალატათა სხვა სათანადო მოსამსახურეთა შესახებ.

ამ მუხლში გამოსტოვა სარედაქციო კომისიამ სიტყვა **შესახებ**. ამას ყოველთვის სჩადის სარედაქციო კომისია. სამუდამოდ გახლავთ მიღებული, რომ ეს სიტყვა **შესახებ** უადგილო არის.

მუხლი მე-12, ამ მუხლში სიტყვა **ევლება** შეეცვალეთ სიტყვით **დაევალება**.

მუხლი მე-13-ე. სამმართველოს უფროსი თავმჯდომარეობს გუბერნიის საადგილ-მამულო გადასახადის, ქალაქებში უძრავ ქონებათა სახელმწიფო გადასახადთა და შემოსავლის გადასახადის საკრებულოებს. სსენებულ საკრებულოთა საქმის წარმოება ვალად აძევს სამმართველოს სათანადო განყოფილების გამგეს საკრებულოს წევრის უფლებით.

აქ მხოლოდ ზოგიერთი სიტყვის დაბოლოვებაა შეცვლილი.

შენიშვნა: ფინანსთა მინისტრს უფლება ეძლევა ქუთაისის საგუბერნიო საკრებულოების თავმჯდომარისა და საქმის-მწარმოებელ წევრის მოვალეობამ თიანდოს საგანგებო პირთ.

პარლამენტის მიერ მიღებულ ტექსტში ნათქვამი იყო: **დააკისრის** ჩვენ შევცვალეთ **მიანდოს**.

III. სათანადო კანონდებულების შესაღლენად და დასამტკიცებლად დადგენილ იქმნეს:

I. მიწის გადასახადის, ქალაქის უძრავ ქონების სახელმწიფო გადასახადის, სარეწავი გადასახადის და შემოსავლის გადასახადის გუბერნიის საკრებულო შესდგება გადასახადისა და სახელმწიფო ხაზინის სამმართველოს უფროსის თავმჯდომარეობით, ამ სამმართველო სათანადო განყოფილების გამგისა და შემდეგი წარმომადგენლებისაგან: თითო-თითო ადგილობრივ სოლქმა სასამართლოს გრალმდებლის და ოთხი სათანადო გადასახადთა გამღებისაგან, უკანასკნელი ირჩევიან სათანადო ერთობათა და ქალაქთა თვითმართველობისაგან.

დამატებითი სარეწავი გადასახადის ქაქმეები საგუბერნიო საკრებულოში უნდა განხილულ იქნეს ზემო მოყვანილ წესებთა გარდა სახელმწიფო კონტროლისა საქციხო და სამთო უწყებათა წარმომადგენლების მონაწილეობით ხმის გადაწყვეტის უფლებით.

პარლამენტის მიერ მიღ. ტექსტში იყო სიტყვა **სამრეწველო** ეგრეთწოდებული „Промышленный“ სარედაქციო კომისიამ იხმარა სიტყვა **სარეწავი**.

შენიშვნა: მიწის გადასახადის საკრებულოში ამორჩევენ, ოთხს წევრს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერობო თვითმართველობანი, ქალაქის უძრავ ქონებათა გადასახადის საკრებულნი ოთხ წევრს—ქალაქის თვითმართველობანი, სარეწავი და შემოსავალის გადასახადის საკრებულები ორს—საერობო და ორს ქალაქის თვითმართველობანი.

შენიშვნა: აქ სიტყვა **აირჩევს** შეიცვალა სიტყვით **ამოირჩევს**.

თავმჯდომარე. რომელი მუხლი გახლავთ?

მომხსენებელი. 3 **განყოფილების** პირველი მუხლი **შენიშვნაში** სიტყვა **აირჩევს** შეიცვალა სიტყვად **ამოირჩევს**.

2. საგუბერნო სარეწავი საკრებულოს მოვალეობა არის განიხილოს საჩივარი გადასახადის საუბნო და სამაზრო საკრებულოების მიერ გადასახადის ზედმეტად ან უმართებულოდ აღრიცხვის გამო; ყოველ წლის დასაწყისშივე დაპყოს საეკაპრო-სამრეწველო დაწესებულებანი და პირად, სარეწავი სამუშაო ჯგუფებად და დამატებითი გადასახადის დასადებათ მათი საშუალო მოგების პროცენტი დაიწესოს.

აქ ზოგიერთი სიტყვებია შეცვლილი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

შენიშვნა: საუბნო ან სამაზრო გადასახადის საკრებულოთა მოვალეობა არის განიხილონ გადასახადის გამღების უთანხმოების განცხადება და მიიღონ საჩივარი, რომელიც შემოტანილი იქნება გადასახადის გამღებისაგან მათ დადგენილებაზე; თავისი დანასკვი წარადგინოს საგუბ. სარეწავ საკრებულოში.

აქაც სიტყვა **ევალება** შეიცვალა: **მოვალეობა არის**.

3. ქუთაისის ხაზინის ყოველთვიურ სარევიზიოდ შესდგეს საკრებულო ქუთაისისა და ქუთაისის მაზრის გადასახადის ინსპექტორთა და ადგილობრივ სააქციზო ინსპექტორისაგან. საკრებულოს თავმჯდომარეობა დაეევალება ერთ-ერთ გადასახადის ინსპექტორს, რომელსაც დანიშნავს ფინანსთა მინისტრი.

აქ არის შეცვლილი სიტყვები მხოლოობით რიცხვში. შემდეგ სიტყვა **ნიშნავს** შეიცვალა **დანიშნავს**.

IV. გუბერნიის საერობო თვითმართველობის მოწყობამდის, საგუბერნიო საკრებულოს წევრებს, რომელნიც არ-ნიეულ უნდა იყვნენ თვითმართველობისაგან, დანიშნავს ფინანსთა მინისტრი გუბერნიის კომისრის წარდგენის თანახმად. გუბერნიის კომისარმა კანდიდატები უნდა წარადგინოს გადასახადის და სახელმწიფო ხაზინის უფროსთან შეთანხმებით.

მუხლი მიღებული გახლავთ უცვლელად.

V. საერობო საგუბერნიო დაწესებულებათა დებულების 1016 მ. და სამოქალაქო კანონთა 157 მუხლის შესაცვლელად დადგენილ იქმნეს:

1. ყოფილ მდგბიო მოქალაქის მიერ შვილად აყვანის საქმე სწარმოებს საოლქო სასამართლოში იმ წესით, რომელიც ნაჩვენებია სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდების 1460-[8] 1460-[12] მუხლი.

აქ სიტყვა **სასამართლოები** შეცვლილია **სასამართლო**.

2. ყოფილ მდგბიო მოქალაქის და გლეხის მიერ ნაშვილების და ქორწინების გარეშე შობილი ბავშვის გვარისა და მამისა სახელის მიკუთვნება, დამტკიცება და აგრეთვე აღდგენა ყოფილ მოხარკე წოდების პირთა მიერ დაკარგული გვარისა, სწარმოეის საოლქო სასამართლოში.

მუხლი უცვლელად არის მიღებული. VI. მიეცეს ფინანსთა მინისტრს უფლება გამოსცეს ინსტრუქცია ამ კანონ-პროექტის ცხოვრებაში გასატარებლად და აგრეთვე წესდება სახაზინო პალატების და ლიკვიდაციისა და ამ პალატების გადასახადთა ,ნ სახელმწიფო ხაზინის სამართველოსთვის გადაცემის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ სარედაქციო კომისიის მიერ მიღებულ ტექსტში გამოტოვებულია სიტყვა **შესახებ**. VII. ტფილისის და ქუთაისის სახაზინო პალატების შესახებად არსებული კრედიტი დახურულ იქნეს ლიკვიდაციის ფაქტიურად დამთავრების შემდეგ, რომელიც უნდა მოხდეს არა უგვიანეს ამა წლის 31 დეკემბრისა.

აქ ჩვენ გამოვტოვეთ სიტყვები **შესანახად არსებული** ამის მაგიერ დაწერეთ **შესანახი კრედიტი** სიტყვები არა უგვიანეს: **ამა წლის 31 დეკემბრის** შევცვალეთ: **ამა წლის დეკემბრის** 31-სა. კანონს თან დართული აქვს შტატები, მიღებული თქვენ მიერ—სარედაქციო კომისიის საამისო ცვლილება არა შეუტანია რა.

მე მგონია, საჭირო არ იქნება მეორედ წაკითხვა.

საბოლოო ტექსტი ორასი მილიონი მანეთის ბონების გამოცემის კანონისა.

შალვა ამირეჯიბი (კითხულობს) 1. საქართველოს პარლამენტი უფლებას აძლევს მთავრობას გამოსცეს კიდევ ამიერ-კავკასიის კომისარიატის ბონები გარდა უკვე გამოცემულ 580 მილიონისა, ადერბეიჯანის მთავრობასთან შეთანხმებით ორასი მილიონი ბონი, რომლისაგან ასი მილიონი მანეთი უნდა მიეცეს ადერბეიჯანის მთავრობას და ასი მილიონი მანეთი დარჩეს საქართველოს მთავრობის განკარგულებაში. პასუხისმგებლობა ამ ორასი მილიონი მანეთი ბონისა ედება ორსავე რესპუბლიკას, საქართველოს და ადერბეიჯანს თანახმად განსაკუთრებულ ხელშეკრულებისა.

აქ შეცვლილი გაბლავთ შემდეგი სიტყვები: პარლამენტის მიერ მიღებულ ტექსტში ნახმარია: **გარდა უკვე გამოცემულ 580 მილიონისა**, სარედაქციო კომისიამ შესცვალა: **გარდა უკვე** გამოცემულის 580 **მილიონისა** სიტყვები: **პასუხისმგებლობა ამ ორასი მილიონი მანეთი ბონისა ედება ორსავე რესპუბ**-ჩვენ შევცვალეთ: **პასუხისმგებლობა ამ ორასი მილიონი მანეთი ბონისა მართებს ორსავე რესპუბლიკას.**

მთელი მუხლი ასეა მიღებული: (კითხულობს) 1. საქართველოს პარლამენტი უფლებას აძლევს მთავრობას გამოსცეს კიდევ ამიერ-კავკასიის კომისარიატის ბონები, გარდა უკვე გამოცემულის 580 მილიონისა, ადერბეიჯანის მთავრობასთან შეთანხმებით ორასი მილიონისა, რომლისაგანაც ასი მილიონი მანეთი უნდა მიეცეს ადერბეიჯანის მთავრობას და ასი მილიონი მანეთი დარჩეს საქართველოს მთავრობის განკარგულებაში. პასუხისმგებლობა ამ ორასი მილიონი მანეთი ბონისა მართებს ორსავე რესპუბლიკას, საქართველოს და ადერბეიჯანს თანახმად განსაკუთრებულ ხელშეკრულებისა.

საბოლოო ტექსტი პირველ-დაწყებითი სკოლების დამთავრების შესახებ.

შალვა ამირეჯიბი. (კითხულობს) **მუხლი** 1. გაიხსნას ტფილისის გუბერნიაში 37 ახალი პირველ-დაწყებითი სკოლა.

ეს მუხლი უცვლელად გაბლავთ მიღებული.

მუხლი 2. გაიხსნას ახალი კომპლექტი 13 მრავალრიცხოვან სასოფლო სკოლაში.

პარლამენტის მიერ მიღებულ ტექსტში ნახმარი იყო **სოფლის სკოლაში** ჩვენ შევცვალეთ: **სასოფლო სკოლაში.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 3. განათლების სამინისტროს კრედიტი ახალ სკოლების და კომპლექტების შესანახად ას ოცდა ერთი ათასი ოთხას ორმოცი (121,440) მანეთი.

სარედაქციო კომისიამ ეს მუხლი ასე შეცვალა:

3. განათლების სამინისტროს კრედიტი ახალ სკოლების და კომპლექტის შესანახავად თანახმად ამ კანონთან დართულ ხარჯთაღრიცხვის ას ოცდა ერთი ათასს ორმოცი (121440) მანეთი.

ამ კანონს დართული აქვს ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც მიღებული გახლავთ პარლამენტის მიერ და რომელშიაც არავითარი ცვლილება არ შეგვიტანია.

საბოლოო ტექსტი გურიის უმაღლეს დაწყებითი სკოლებისთვის ერთდროულ დახმარების კანონისა.

შალვა ამირეჯიბი. (კითხულობს) მიეცეს სახელმწიფოს ხაზინიდან ერთდროული დახმარება ლიხაურის, აცანის, ამაღლების და ბახვის უმაღლეს დაწყებით სკოლებს, თითოს სამ ათასი მანეთი, სულ თორმეტი ათასი (12000 მანეთი.

პარლამენტის მიერ მიღებულ ტექსტში ნახმარი იყო სიტყვა **სასწავლებლებს,** ჩვენ, როგორც ყოველთვის, აქაც სიტყვა სასწავლებლებს შევცვალეთ სიტყვით სკოლებს.

საბოლოო ტექსტი სააქციზო უწყების ორგანიზაციის კანონისა.

შალვა ამირეჯიბი (კითხულობს) კანონ-პროექტი სააქციზო უწყების ორგანიზაციისა საქართველოს ტერიტორიაზე.

1. ამიერ-კავკასიის სააქციზო სამმართველო და მისი ოლქი: I, II, VI და VIII 1918 წლის პირველ მარიამობისთვიდან ყველა ამ დაწესებულებათა მოხელეები რჩებიან შტატ გარეშე. ამასთანავე უქმდებიან თანამდებობანი: რევიზორებისა, სამოსამართლო ნაწილის მოხელესი, ტეხნიკისა, საოლქო ზედამხედველისა, მისი თანაშემწეებისა, უფროს და უმცროს კონტროლიორებისა გარდა თამბაქოს ქარხნის კონტროლიორის და აქციზის მეთვალყურეებისა.

სარედაქციო კომისიამ ასე შესცვალა.

1. ამიერ-კავკასიის სააქციზო სამართველო და მისი ოლქები: I, II, VI და VIII 1918 წ. აგვისტოს პირველიდან გაუქმებულნი არიან და ყველა ამ დაწესებულებების მოხელე დატოვებულია შტატ გარეშე. ამასთანავე გაუქმებულია თანამდებობა: რევიზორებისა, სამოსამართლო ნაწილის მოხელისა, ტეხნიკოსისა, საოლქო ზედამხედველისა, მისი თანაშემწეებისა, უფროს და უმცროს კონტროლიორებისა (გარდა თამბაქოს ქარხნის კონტროლიორისა) და აქციზის მეთვალყურეებისა.

მუხლი 2. ის მოხელენი, რომელნიც არ იქნებიან ნელახლად დანიშნულნი ახლად დაარსებულ სააქციზო სამართველოში რაიმე ადგილზე, თანახმად 5 ივლისის 1918 წ. გამოცემულ კანონისა, მიიღებენ სალიკვიდაციო დახმარებას.

ამ მუხლში შეცვლილია მხოლოდ მრავლობითი რიცხვი ყველგან და ნახმარია მხოლობითი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. 1. ბათომის საქაქიზო ოლქი, თანახმად 20 ივლისის კანონისა, ითვლება გაუქმებულად 1918 წ. პირველ ივლისიდან. ამავე რიცხვიდან, პირველ ივლისიდან ითვლებიან დათხოვნილად აღნიშნულ ოლქის მოხელენი, რომელთაც ამასთანავე ესპობათ უფლება სალიკვიდაციო დახმარების მიღებაზე. ამ მუხლში მხოლოდ ზოგიერთი სიტყვის ტაბლიოიდნა არის შეცვლილი.

შენიშვნა 2: ის მოხელენი, რომელნიც 1918 წ 26 მაისამდე ოფიციალურ სამუშაოთ იყვნენ მოწვეულნი ყოფილ ამიერ კავკასიის სხვა და სხვა ოლქებიდან საქართველოს ტერიტორიის მოყოლილ ფარგლებში მიიღებენ სალიკვიდაციო დახმარებას.

ჩვენ ეს შენიშვნა ასე შევასწორეთ: **შენიშვნა** 2: მოხელე, რომელიც 1918 წელს მაისის 26 დროებით სამუშაოდ იყო მოწვეული ყოფილ ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა ოლქიდან საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, მიიღებს სალიკვიდაციო დახმარებას.

მუხლი 3. საქაქიზო სამართველო არსდება ქალ. ტფილისში. ეს სამართველო განაგებს აქციზის ყოველნაირ დარგის საქმეს შემდეგი შემადგენლობით: სამართველოს უფროსი, მისი თანაშემწენი, მდივანი და ბუღალტერი თანაშემწეებით, რეგისტრატორები და მბეჭდავ მანქანაზე მომუშავენი.

აქაც შეცვლილია მხოლოდ რიცხვი. მრავლობით რიცხვის მაგივრად არის ნახმარი მხოლობითი რიცხვი. მუხლი 4. როგორც ქალაქებში, აგრეთვე მაზრებში ადგილობრივ საქაქიზო საქმეებს განაგებენ ინსპექტორები თავისი უფროსი და უმცროსი თანაშემწეებით და კონტროლიორებით.

მუხლი უცვლელად გახლავთ მიღებული. **შენიშვნა**: კონტროლიორები ინიშნებიან მხოლოდ თამბაქოს ქარხნების ზედამხედველად.

აქაც მრავლობითი რიცხვის მაგიერ ნახმარია მხოლობითი რიცხვი. მუხლი 5. სამართველოს უფროსი საქართველოში განაგებს, სათანადო კანონების მიხედვით აწესრიგებს და ხელმძღვანელობს საქაქიზო გადასახადების საქმის წარმოებას, იცავს ხაზინის ინტერეს, იღებს კანონიერ ზომებს შემოსავლის გასადიდებლად და არის ამასთანავე პასუხისმგებელი აქციზის საქმის აღორძინება-განვითარებაში.

უცვლელად გახლავთ მიღებული. მუხლი 6. თანაშემწენი უფროსისა ასრულებენ ყველა იმ საქმეებს, რასაც ავალებს მათ უფროსი: ახდენენ რევიზიას მოხელეთა მოქმედების შესახებ, განაგებენ კანცელარიას და ასრულებენ უფროსის მოვალეობას, როდესაც უკანასკნელი რაიმე მიზეზის გამო, არ იმყოფება თავის ადგილზე.

სარედაქციო კომისიამ ასე შესცვალა: მუხლი 6. უფროსის თანაშემწე ასრულებს ყველა საქმეს, რომელსაც უფროსი დაავალებს: აწარმოებს მოხელეთა მოქმედების რევიზიას, განაგებს კანცელარიას და ასრულებს უფროსის მოვალეობას, როდესაც უკანასკნელი რაიმე მიზეზის გამო, სხვაგან არის.

მუხლი 7. ინსპექტორებს ევალებათ მიიღონ ყოველნაირი კანონიერი ღონისძიება, რომ საქაქიზო გადასახადების საქმე მათდამი რწმენებულ საზღვრებში სრულდებოდეს მტკიცედ და წესიერად. ამასთანავე იგნი უწევენ საჭირო ხელმძღვანელობას თავიანთ თანაშემწეებს და თამბაქოს ქარხნის კონტროლიორებს.

ეს მუხლი ჩვენ ასე შევცვალეთ: მუხლი 7. ინსპექტორის მოვალეობაა მიიღოს ყოველნაირი კანონიერი ღონისძიება, რომ საქაქიზო გადასახადების სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმე მისდამი რწმუნებულ საზღვრებში სრულდებოდეს მტკიცედ და წესიერად. ამასთანავე მან საჭირო ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს თავიანთ თანაშემწეებს და თამბაქოს ქარხნის კონტროლიორებს.

მუხლი 8. სააქციზო სამართველოს უფროსი ინიშნება მთავრობისაგან, თანახმად ფინანსთა მინისტრი წარდგენისა.

ჩვენ ეს მუხლი ასე შევცვალეთ: მუხლი 8. სააქციზო სამართველოს უფროს დანიშნავს მთავრობა, თანახმად ფინანსთა მინისტრის წარდგენისა.

მუხლი 9. სამართველოს უფროსის თანაშემწეებს, ინსპექტორებს და მათ თანაშემწეებს დანიშნავს ფინანსთა მინისტრი სააქციზო სამართველოს უფროსის წარდგენით, დანარჩენ მოხელეებს დანიშნავს სამართველოს უფროსი.

მუხლი უცვლელად არის მიღებული. მუხლი 10. რიცხვი ამ კანონში აღნიშნულ მოხელეთა და რაოდენობა მათი ჯამაგირისა განსაზღვრულია ამასთანავე დართულ შტატში.

ეს მუხლიც უცვლელად არის მიღებული.

მუხლი 11. ყველა საქმეები და ქონება ამიერ-კავკასიის სააქციზო სამართველოსი და აგრეთვე I, II და VI ოლქებისა გადადის საქართველოს რესპუბლიკის სააქციზო სამმართველოს ხელში, მასვე გადაეცემა საქმეები იმ ვაჭრობა-მრეწველობათა შესახებ, რომლებიც სწარმოებენ ქუთაისის გუბერნიის და სოხუმის ოლქის საზღვრებში.

ჩვენ ეს მუხლი ასე შევლვალეთ:

11. ყოველი საქმე და ქონება ამიერ-კავკასიის სააქციზო სამმართველოსი და აგრეთვე I, II და VI ოლქებისა გადადის საქართველოს რესპუბლიკის სააქციზო სამმართველოს ხელში, მასვე უნდა გადაეცეს ვაჭრობა-მრეწველობის საქმეები, რომელიც სწარმოებს ქუთაისის გუბერნიის და სოხუმის ოლქის საზღვრებში.

მუხლი 12. გადაიდოს სახელმწიფო ხაზინიდან სააქციზო უწყებისათვის თანახმად ამ კანონთან დართული შტატებისა 1918 წ. აგვისტოს პირველიდან წლის დამლეგამდე სამას ოცდა ცხრამეტი ათასი რვაას ორმოცდა ხუთი 339845 მანეთი შემდეგი დანაწილებით: 1. ჯამაგირებისათვის 319745 მან. 2. ბინისათვის 2100 მ., 3. საკანცელარიო და სხვა სამეურნეო ხარჯებისათვის 1000 მ. და 4. პროვინციელ ინსპექტორთათვის საკანცელარიო და სხვა ხარჯებისათვის 8000 მანეთი.

ჩვენ ეს მუხლი ასე შევცვალეთ.

12. გადაიდოს სახელმწიფოს ხაზინიდან სააქციზო უწყებისათვის თანახმად ამ კანონთან დართული შტატისა 1918 წლის აგვისტოს პირველიდან წლის დამლეგამდე სამას ოცდა ცხრამეტი ათას რვაას ორიოცდა ხუთი (339845) მანეთი შემდეგი განაწილეაით: 1. ჯამაგირისათვის—319745 მან. 2. ბინისათვის—2100, 3. საკანცელარიო და სხვა სამეურნეო ხარჯისათვის 1000 მ. და 4. პროვინციელი ინსპექტორთა საკანცელარიო და სხვა ხარჯებისათვის 8000 მანეთი.

ამ კანონს თან დართული აქვს შტატები, რომელნიც უკვე განხილული ბახლავთ პარლამენტის მიერ. სარედაქციო კომისიისაგან არავითარი ცვლილებები არ არის შეტანილი. ამიტომ მე არ მოგახსენებთ იმას.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი ამ ცვლილებისა? არავინ. მიღებულია. შემდეგი კანონ-პროექტი. მომხსენებელია კაკაბაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განხილვა კანონ-პროექტისა საჩხერეში ცეცხლისაგან დაზარალებულთა დახმარების შესახებ.

ილია კაკაბაძე (ს.-რ.) ბატონებო! დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ბოლშევიკების სახით საჩხერეს და მის ახლო სოფლებს თავს დაატყდა უბედურება. მცხოვრებლებმა ნახეს აუარებელი ზარალი. შემდეგ ამისა, საუკეთესო ნაწილი საჩხერისა, ბაზარი, ცეცხლმა იმსხვერპლა, რამაც მიაყენა დიდი ზარალი იქაურ მცხოვრებლებს. საფინანსო კომისიის დავალებით, მე წავიდი იქ, ადგილობრივ უნდა გამომეკვლია რა ზარალი მოუვიდა თვითეულ მათგანს. იქ როცა მივედი, ადგილობრივ გავიცანით დაწვრილებით ყველანაირი ზარალი. საბოლოოდ გამოირკვა, რომ 37 ოჯახი მთლად განადგურებული არის. მათ შორის არის 13 ვაჭრები, რომელთაც მოსამსახურეები ჰყავთ; 24 კი შენობის პატრონები და იქაური მოვაჭრეები. ზარალი, — დაზარალებულთა სიტყვით ფულის 8 მილიონ 700 ათას მანეთს, მაგრამ კომისიის და ჩემის გამოანგარიშებით უდრის ზარალი 7 მილიონს მეტს არა. როცა მე მოხსენება წარვუდგინე საფინანსო კომისიას, კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დახმარება აღმოუჩინოს იქაურ დაზარალებულთა 35—45 ათასით. ამ დადგენილებას იზიარებს ადგილობრივი თვითმართველობის კომისია.

ამგვარად, თუ ამ ფულით დახმარებას აღმოუჩენს პარლამენტი, ეს ფული უნდა გადაეცეს შორაპნის ერობას განსაწყობლად დაზარალებულთა შორის. თუ ნებას მომცემთ წავიკითხავ ამ კანონ-პროექტს, რომელიც ერთ მუხლისაგან შესდგება (კითხულობს) გადაეცეს სახელმწიფო ხაზინიდან შორაპნის სამაზრო უმგეობას 45,000 მანეთი საჩხერეში ცეცხლისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა და დაწესებულებათა დასახმარებლად. ამ დაწესებულებათა შორინ არის, როგორც თეატრი ისე სამკითხველო.

თავმჯდომარე ვის სურს სიტყვა? სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს ვეშაპელს.

გრიგოლ ვეშაპელი. ბატონებო, მომხსენებელმა აღნიშნა ზოგიერთი გარემოება. ამიტომ მე მინდა ერთ გარემოებას ხაზი გაუსვა.

საქმე იმაშია, რომ ეს კანონ-პროექტი ფინანსთა კომისიისა არის ერთგვარი დასკვნა ორი წინადადებისა. ერთი იყო გამოგზავნილი საჩხერიდან. დაზარალებულნი კომისიის სახელით სთხოვდნენ პარლამენტის პრეზიდიუმს, რომ ზომები მიეღოთ და დახმარება აღმოეჩინათ საკანონმდებლო საერთოდ პარლამენტის წესით საჩხერისთვის. მაშინ თქვენმა მორჩილმა მონამ შემოიტანა წინადადება და რადგანაც არ იყო გარკვეული ცნობები დაზარალებულთა შესახებ —ამიტომ დაახლოვებესით დავასახელეთ და ზარალიც დასახმარებლად 100,000 მანეთი. დაახლოვებით დასახელება ემყარებოდა მარტო პრესაში გამოქვეყნებულ ცნობებს საჩხერის ცეცხლის შესახებ. ეს ცნობა იყო დაბეჭდილი არა მარტო ერთ მიმართულების გაზეთში, არამედ ყველა ქართულ გაზეთებში დაახლოვებით იყო 100,000 მანეთი დასახელებული.

ფინანსთა კომისიამ ვერ გადასწყვიტა ეს საკითხი, რადგანაც მაშინ არ იყო ოფიციალური, ადმინისტრატიული წესით მოგროვილი ცნობები. და აი ერთი გარემოება არის აღსანიშნავი. რაც უნდა პატარა კუთხე იყოს საჩხერე ან მასთან სხვა კუთხეები, მაინც წინანდელ რუსეთის ორ გუბერნიის საზღვრებში და საერთოდ საქართველოს ტერიტორიაზე პროპორციით, ამისთანა კუთხეები ამისთანა დაბები, ამისთანა ცენტრები მაინც და მაინც ბევრი არ გვაქვს. ამისთვის საფიქრებელია, როდესაც ასეთი დიდი უბედურება ხდება ასე ადგი-

ლობრივად, იქმნება ეს ცეცხლი, ან სხვა რომ ადმინისტრაცია მექანიკურად დაწყებული ქვიდან, ქვედა საფეხურიდან და განაგებული ზედა საფეხურამდის, თითონ უნდა იგებდეს იმას, თუ რა ხდება ამა თუ იმ ადგილას. ამ შემთხვევაში კი, და ალბად ისეთი შემთხვევები, რასაკვირველია, არ არის გამონაკლისი არამედ ეს არის ჩვეულებრივი მოვლენა, არც ადგილობრივ კომისრებს არც რაიონის კომისრებს, არც მაზრის კომისრებს, არც გუბერნიის კომისარს, რამდენიმე კვირის განმავლობაში, ცნობები არ ჰქონდათ იმის შესახებ, თუ რა მოხდა საჩხერეში.

ბქვენ აქ მოგახსენათ ბატონმა მომხსენებელმა, რომელიც ფინანსთა კომისიამ გააგზავნა საჩხერეში, რომ რამდენიმე ათასს უდრის აქაური ზარალი. ვთქვათ მილიონი. ამისთანა მილიონები საქართველოში ბევრი არ არის, რომ ანგარიში არ გაუწიოთ. წარმოიდგინეთ, რომ ფინანსთა კომისიას არავითარი საშუალება არ ჰქონდა შეეტყობინა, დადგენილება პარლამენტისა და განსაზღვრულ ვადაზეთვის გადაეწყვეტა საკითხი დახმარებისა. მთავრობას არ ჰქონდა ოფიციალური ცნობები. თვით შინაგან საქმეთა სამინისტროს, ცენტრალურ ორგანოსაც კი არავითარი ცნობები არა ჰქონდა, და მგონი დღესაც არ ექვს, ან თუ აქვს, ყოველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ საფინანსო კომისიამ საგანგებოდ მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს ამ ცნობის შესახებ, ჯერ პასუხი არ მისვლია. მაზრის კომისარმა პირდაპირ უპასუხა შინაგან საქმეთა მინისტრის კანცელარიის გამგეს, რომ ჯერ (გასული იყო ორი კვირა), არავითარი ცნობა ამის შესახებ არ მაქვს ნამდვილი, და რომ შეცდომაში არ შეგიყვანოთ, გავგზავნი კაცს და შეიტყოთ ნამდვილადო.

მართალია, ტელეფონი და ტელეგრაფი, იმ გეგმით, რომელიც არის დამტკიცებული შინაგან საქმეთა მინისტრისაგან, ჯერ არ არის მოწყობილი, მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო, ნუ თუ არ არის საშუალება, რომ რაიონის კომისარი ატყობინებდეს მაზრის კომისარს, თუ რა ხდება მის ქვემდებარე ტერიტორიაზე, და მაზრის კომისარი თავის მხრივ ატყობინებდეს გუბერნიის კომისარს და გუბერნიის კომისარი ატყობინებდეს შინაგან საქმეთა მინისტრს. ეს გარემოება უსათუოდ აღსანიშნავი არის. მე ამით არ მინდა დავაყვედრო შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის გამგეს, რადგან მათ რამდენჯერმე მიუნართავთ ამის შესახებ, მაგრამ პასუხი არ მიუღიათ. დასაყვედრებელია ის ჩვეულება, რომელიც დამყარდა ადგილობრივ, რომ თუ ზეციდან არ მოვიდა რამდენჯერმე რაიმე ბრძანება, ან რაიმე შეკითხვა ან საგანგებო კაცი არ ჩამოვიდა ტფილისიდან, ან ისეთი დიდი გაჯერვება არ მოხდა, ან დიდი ინიციატივის კაცი არ აღმოჩნდა, რომ კომეტეტი შეადგინოს თავის თავად,—შინაგან საქმეთა სამინისტროს და მთავრობას არა აქვთ მოწყობილი ისე საქმე, რომ თავის დროზე ეცნობოს ტფილისის მთავრობას, თუ სად რა ხდება.

შემდეგ, რაც შეეხება, თვით თანხას, უკვე მოგახსენეთ რომ ეს 100000 მანეთი იყო ნავარაუდევი დაახლოვებით. ამ ცნობის შემდეგ, რომელიც ჩამოიტანა მომხსენებელმა საჩხერედან. შეიძლებოდა ეს თანხა დარჩენილიყო არა დაახლოვებით, არა ზეპირად, არამედ ფაქტიურად, იმიტომ, რომ 37 ოჯახი, რგვალად რომ ვთქვათ, 40 ოჯახი დარჩა პირდაპირ უსახლკაროდ. ღამეების გათენება უხდებათ საჩქაროდ მოწყობილ ქოხებში, დამშვარ ნანგრევებიდან გაკეთებულ ქოხებში. სანამდი ბინას გამოიჩენდნენ, სანამდის საქმე გაიჩენდნენ დღევანდელ სიძვირის დროს სახელმწიფომ რომ ამ 100000 მანეთით დახმარება აღმოუჩინოს ეს არ იქნება არა ნორმალური ციფრა. მაგრამ ფინანსთა კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისიამვე მიიღო ეს ციფრა იმიტომ, რომ ყველას მოგეხსენებათ მდგომარეობა ჩვენი ხაზინისა. კიდევაც რომ დაედგინა ფინანსთა კომისიას ეს 100000 მან. სულ ერთია, ფაქტიურად ეს იქმნეოდა დაპირება მხოლოდ და ვერ ასრულდებოდა ცხოვრებაში.

მე თითონ, როგორც ავტორი ამ წინადადებისა, მე ვეთანხმები ფინანსთა კომისიას, რომ სწორედ ეს ციფრა 45000 მანეთი დარჩეს.

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა? არავის. ვინ არის წინააღმდეგი, რომ გადავიდეთ მუხლობრივ განხილვაზე? არავინ. გთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი.

მდივანი. (კითხულობს პირველ მუხლს).

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მუხლი მიღებულია.

უყრი კენჭს საერთოდ კანონ-პროექტს.

ვინ არის წინააღმდეგი? კანონ პროექტი მიღებულია და გადაეცემა საოლქაქციო კომისიას.

შემდეგი კანონ-პროექტი სამთო სამართველოს განყოფილებაზე. სიტყვა ეკუთვნის იასონ ლორთქიფანიძეს.

სამთო-სამმართველოს დაარსების კანონ-პროექტი.

იასონ ლორთქიფანიძე. (ნ.-დ.) ბატონებო, მოგეხსენებათ, რომ ძველ რეჟიმის დროს, კავკასიაში არსებობდა კავკასიის სამთო სამართველოს განყოფილება, ე. ი. ოლქი. ამ ადგილობრივ დაწესებულებას, რასაკვირველია, არავითარი ინიციატივა საკანონმდებლო არ ჰქონდა. იგი აწარმოებდა თავის საქმეებს იმ კანონით, რომელსაც ღებულობდა პეტროგრადიდან. ამიერ-კავკასიის რუსეთის შემადგენლობიდან გამოყოფის შემდეგ და მერმე საქართველოს გამოყოფის შემდეგ, რასაკვირველია აღიძრა საკითხი, რომ ეს დაწესებულება გამხდარიყო სახელმწიფო დაწესებულებად. ჯერ კიდევ შვიდ მაისს ამიერ-კავკასიის სეიმმა დაამტკიცა ამგვარი კანონი. მაგრამ იგი, რასაკვირველია, განხორციელებული არ იყო, რადგან ორი, სამი კვირის შემდეგ მთელი ამიერ-კავკასია გაიყო სამ რესპუბლიკად. თვით საქართველოს დამოუკიდებლობის დაარსებიდან საფინანსო და საჯარო სამინისტროს იმის ცდაში იყო, რომ ეს კანონ-პროექტი განხორციელებული ყოფილიყო იმის დაგვარად, რამდენადაც ეს შეეხებოდა საქართველოს რესპუბლიკას.

ამგვარად, ახალი მართველობა წარმოადგენს არა ადგილობრივ დაწესებულებას, არამედ ცენტრალურ დაწესებულებას, სახელმწიფოებრივ დაწესებულებას, რომელსაც აქვს უფლება, როგორც კანონ-პროექტებიან ინიციატივისა, ასე კანონების განხორციელების და სხვა და სხვა განკარგულების გაცემისა.

ამის და მიხედვით შედგენილია შტატები ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისაგან. უნდა მოგახსენოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ დაწესებულებას ახალი ფუნქციები ემატება, ხარჯი რომელსაც იწვევს ეს დაწესებულებები ბევრად ნაკლებია იმაზე, რასაც ხაზინა იღებდა სამის სამართველოს ოლქის საქმისთვის. ეხლანდელი ხარჯი ეს 64,775 მანეთი წლიურად, მაშინ როდესაც კავკასიის სამის სამართველოს ოლქისთვის იხარჯებოდა წლიურად გაცილებით სამჯერ მეტი. რასაკვირველია, შემცირება აიხსნება იმით, რომ საქართველო შეადგენს მესამედს ან მეოთხედ მთელ კავკასიისს.

რადგანაც არსდება სრულიად ახალი დაწესებულება ამიტომ, რასაკვირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველია, ის ძველი კრედიტები, რომელიც იყო გახსნილი კავკასიის საოლქო სამთო სამართველოსთვის უნდა დაიხუროს და უნდა გაიხსნას ახალი კრედიტები ამ ახალ დაწესებულებისთვის.

ძველ დაწესებულების გაუქმებას უნდა მოჰყვეს ლიკვიდაცია იმ საქმეებისა, რომელიც იყო კავკასიის სამთო სამართველოში და გადაცემა საქმეებისა სხვა ორ რესპუბლიკისადმი. ეს მოითხოვს, რასაკვირველია, თავის ხარჯს, რომელიც აქ ამ კანონ-პროექტში შეტანილია.

ხარჯს მოითხოვს აგრეთვე ის სალიკვიდაციო გასავალი, რომელიც საჭირო იქნება შტატ გარეშე დარჩენილ მოსამსახურეებისთვის.

ამნაირად ეს კანონ-პროექტი შეიცავს უპირველეს ყოვლისა ახალ დაწესებულების დაკანონებას, მეორე-ის ხარჯთ-აღრიცხვას, რომელიც საჭიროა ახალი შტატებისა და ლიკვიდაციისათვის. ამისთანა ლიკვიდაცია იგულისხმება, როგორც საქმეებისა, ისე ძველ მოსამსახურეებისა.

აი ასე და ამგვარად გახლავთ ეს კანონ-პროექტი შედგენილი.

თავმჯდომარე. ვის ნებავს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი, რომ გადავიდეთ მუხლობრივ განხილვაზე? გთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი.

იასონ ლორთქიფანიძე. (კითხულობს) 1. გაუქმებულ იქნეს კავკასიის სამთო სამართველო საქართველოს ტერიტორიაზე.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

იასონ ლორთქიფანიძე. (კითხულობს) 2. ყველა ზემოხსენებული სამართველოს (იხილე მუხ. I ამა კან.) მოხელენი რჩებიან შტატს გარეშე და მათ მიეცემა სალიკვიდაციო შემწეობა საერთო წესით, თუ ისინი ჩაირიცხებიან ახლად დაარსებულ სამთო სამართველოში.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

იასონ ლორთქიფანიძე. (კითხულობს) 3. დაარსდეს საქართველოს სამთო სამართველო, რომელიც დაექვემდებაროს ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრს და ამ სამართველოს გადაეცეს მთელი ქონება ძ საქმეები კავკასიის სამთო-სამართველოსი და დამტკიცებულ იქნეს ამ კანონთან დართული შტატები.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

იასონ ლორთქიფანიძე. (კითხულობს) 4. მიეცეს სახელმწიფო ხაზინიდან ახლად დაარსებულ სამთო-სამართველოს თანახმად ამ კანონთან დართულ შტატებისა და ხარჯთ-აღრიცხვისა ამა 1918 წლის პირველ სექტემბრიდან წლის დამლევამდე 91,775 მანეთი შემდეგი დანაწილებით: 1) შტატ გარეშე დარჩენილთა დასაკმაყოფილებლად სალიკვიდაციო შემწეობით 16,000 მანეთი; 2) სალიკვიდაციო კომისიის შესანახავად სამი თვის განმავლობაში 11,000 მანეთი და 3) ამ კანონთან დართულ შტატებისა და ხარჯთ-აღრიცხვისთვის 64,775 მანეთი.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

იასონ ლორთქიფანიძე. (კითხულობს) 5. კავკასიის სამთო-სამართველოს კრედიტი ამა წლის ხარჯთ-აღრიცხვისა პირად შემადგენლობისათვის დახურულ იქნას.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

იასონ ლორთქიფანიძე. (კითხულობს) 6. გადაეცეს ახლად დაარსებულ საქართველოს სამთო-სამართველოს განკარგულებაში ამ ჟამად დარჩენილ კავკასიის სამთო-სამართველოს სახელზე ყოველი ანგარიშები, როგორც არის: დეპოზიტები, ბეები, სპეციალი თანხები და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია.

მოახსენებელი (კითხულობს) **სამთო სამმართველოს შტატი.** 1. გამგე სამმართველოსი წლიური ჯამაგირი—12000 მ. სექტემბრის პირველიდან წლის დამლევამდე 4000 მანეთი.

ზოგიერთ მუხლის შესახებ ბრის ბატონებო ცალკე აზრი სახელმწიფო კონტროლიორისა, ამიტომ, როდესაც ამ მუხლებზე მივალთ წავიკითხავთ კონტროლიორის აზრს.

ინჟენერი მინდობილობისათვის 1—წლიური ჯამაგირი 9000 მ. სექტემბრის პირველიდან წლის დამლევამდე 3000 მან.

ინჟენერი მკვლევარი—წლიური ჯამაგირი 9600 მ.

ამაზე სახელმწიფო კონტროლიორი სწერს: (კითხულობს სახელმწიფო კონტროლიორის აზრს). (გაბაშვილი: რუსულად?) ეს გახლავთ დაწერილი კარგა ხანია. რუსულად გახლავთ დაწერილი იმიტომ, რომ კარგა ხნის ამბავია.

ამის შემდეგ ბატონებო, სამინისტრომ წარმოადგინა შემდეგი მოსაზრება: ინჟენერი, რომელიც ამხანაგობას გაუწევს გამგეს არის უბრალო ადმინისტრატიული პირი, რასაკვირველია ეს ინჟენერი იქნება, მაგრამ მეცნიერული მომზადება და ავტორიტეტი შეიძლება არ ჰქონდეს, როგორც იმ ინჟენრებს, რომელნაც იქნებიან მიწეულნი მკვლევრებად. ასეთი ინჟენრები უსათუოდ უნდა იყვნენ დიდად ცნობილნი მეცნიერებაში და მათ გამოკვლევას უნდა ჰქონდეს ავტორიტეტი, ამიტომ სამინისტრო და საფინანსო კომისია იმ აზრისაა, რომ ინჟენერ მკვლევარების გასამრჯელო ცოტა მეტი იყვეს, ვიდრე სხვა უბრალო ინჟინრებისა.

ქიმიკოსი—1. წლიური ჯამაგირი 9000 მან.

ამის შესახებ სახელმწიფო კონტროლიორი სწერს: (კითხულობს) ამის შესახებ სამინისტრომ წარმოადგინა შემდეგი განმარტება, რომელსაც ეთანხმება საფინანსო კომისია. რომ ერთი ქიმიკოსი უნდა იჯდეს მუდამ ტფილისში და არკვევდეს, ეცნობოდეს იმ მასალებს, რომელთაც მოიტანენ ის ორი ინჟენერი, რომელიც გამოსაკვლევად იქნებიან გაგზავნილნი. სამინისტრო ფიქრობს, რომ შეიძლება ერთი ინჟენერი იყვეს გაგზავნილი მასალების შესაკრებად და ადგილობრივ გასაცნობად ტერიტორიისა, და მეორე მხოლოდ იმის გამოსაკვლევად რასაც ის მოიტანს. ამიტომ ფაქტიურად იქ, სადაც ორი ინჟენერია საჭირო გამოკვლევისათვის, საჭიროა ერთი ქიმიკოსი ადგილობრივ იჯდეს ტფილისში და დაამთავროს ის, რასაც ისინი მიიტანენ და ამიტომ არის ქიმიკოსი დატოვებული.

მარკშეიდერი—1. წლიური ჯამაგირი 7200 მ.

მდივანი—1 წლიური ჯამაგირი 8400 მან.

ამას ჰქვიან სახზოგადოდ საქმის მწარმოებელი. ამაზე სახელმწიფო კონტროლიორი სწერს: (კითხულობს) საფინანსო კომისიის და სამინისტროს აზრით, რომ მართლა არ იყვეს რაიმე გაუგებრობა, საქმის მწარმოებელს დაერქვას სახელად არა საქმის მწარმოებელი, არამედ მდივანი. რასაკვირველია, არსებითად დიდი განსხვავებაა მდივანის და საქმის მწარმოებელის შორის, სახზოგადოდ სხვა უწყებებში. აქ მდივანი არის იგივე იურისკონსულტი და ამას უფრო მეტი საქმე აბარია, ვიდრე სხვა უწყებებში. ამიტომ სამინისტრო იმ აზრისა არის, რომ დაერქვას მას სახელად მდივანი და არა საქმის მწარმოებელი და დაენიშნოს წლიურად 8400 მანეთი.

მდივნის თანაშემწე—1. წლიური ჯამაგირი 7200 მან.

უმცროსი თანაშემწე—1. წლიური ჯამაგირი 6000 მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალისტი და იურიკუტორი 1. წლიური ჯამაგირი 5400 მ. მანქანით გადამწერნი 3. წლიური ჯამაგირი თვითეულს 4800 მან. ჩათახის ქარხნის დარაჯი 2. წლიური ჯამაგირი 3000 მან. სამართველოს მსახური 2. წლიური ჯამაგირი თვითეულს 3000 მან. საოლქო ინჟენერი—2. წლიური ჯამაგირი თვითეულს 9000 მან. შტეიგერი 4. წლიური ჯამაგირი თვითეულს 6000 მანეთი.

შტეიგერებზე ბ. კონტროლიორი სწერს შემდეგს: (კითხულობს)

სამინისტოს განმარტებით მარტო ბიათურაში, ძველ რეჟიმის დროს, ყოფილა ექვსი შტეიგერი. აქ, როგორც ტყეიბულში ოთხი არის განზრახული. სამინისტრო ფიქრობს, რომ უსათუოდ საჭიროა შტეიგერის მოვალეობა.

საფინანსო კომისია დაეთანხმა იმას, რომ ეს ოთხი კაცი დატოვებული ყოფილიყო.

ეს გახლდათ შტატები.

ახლა დამატება. (კითხულობს) **დამატება**. 1. ბინისათვის გათბობა განათებითურთ წლიურად 5700 მ. სექტემბრის პირველიდან წლის დამლევამდე 1900 მან.

2. საკანცელარიო და სასტამბო წლიურად 10000 მ. სექტემბრის პირველიდან წლის დამლევამდე 3350 მ.

3. ლაბორატორიისათვის წლიურად 2000 მ. სექტემბრის პირველიდან წლის დამლევამდე 670 მ.

4. საგზაო წლიურად 4000 მ. სექტემბრის პირველიდან წლის დამლევამდე 1350 მ.

5. გამგის განკარგულებაში 3100 მ. სექტემბრის პირველიდან წლის დამლევამდე 1035 მ.

6. საკანცელარიო საოლქო ინჟენერის განკარგულებაში წლიურად 3000 მ. სექტემბრის პირველიდან წლის დამლევამდე 1000 მ.

7. საგზაო და სხვა წლიურად 5000 მ. სექტემბრის პირველიდან წლის დამლევამდე 1670 მ.

სულ წლიურად 194200 მ. წლის დამლევამდე 64775 მ.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი საერთოდ ამ კანონ-პროექტისა? კანონ-პროექტი მიღებულია. შემდეგი კანონ პროექტი. მომხსენებელია პარლამენტის წევრი ლეო ნათაძე.

კანონ-პროექტი საღვთო სჯულის გაუქიებისა.

ლეო ნათაძე. (ს.-დ.) შეიძლება სხვა და სხვა აზრისა ვიყვეთ სარწმუნოების შესახებ, საზოგადოდ ერთნი იტყვიან, რომ ამ სარწმუნოებას და მის გავრცელება-გაღრმავებს ხალხის გულში დიდი მნიშვნელობა აქვს. მეორენი იტყვიან იმას, რაც სთქვა მარქსმა, რომ სარწმუნოება არის ოპიუმი, რომელიც ხალხის გონებას აბნელებს. ამ სარწმუნოების მოსპობა საჭირო [არის იმისთვის, რომ ხალხმა პირი ჭქნას საამქვეყნო ბედნიერებისკენ, და საამქვეყნო ბედნიერებაზე ხელი აიღოს. მაგრამ რა აზრისაც უნდა ვიყვნეთ სარწმუნოების შესახებ ადამიანის ცხოვრებაში, ჩვენ ამ საკითხს უნდა შევხვდეთ სულ სხვა მხრივ. ეს რასაკვირველია, შეადგენს სამეცნიერო და არა პოლიტიკურ საგანს. პარლამენტმა ამ საგანს უნდა შეხედოს, ჯერ ერთი, პოლიტიკურს და მეორეთ პედაგოგიური მხრივ, რადგანაც ეს სასწავლებელი საგანია. თუ ამ მხრივ შევხედავთ ამ საკითხს, ჩვენ უნდა მოვიგონოთ, რომ ძნელად მოიპოვება ისეთი დაქვეითე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული პარტია, რომელსაც პროგრამაში შეტანილი არ ჰქონდეს პუნქტი სინდიდისა თავისუფლების შესახებ. ამ პარლამენტში მაინც და მაინც არ იქნება და არც არის არც ერთი პარტია, რომელსაც არ ჰქონდეს ესეთი პუნქტი შეტანილი თავის პროგრამაში. რასაკვირველია, პროგრამა ხშირად იწერება, რომ არ იქნეს შესრულებული. ეს ძალიან ხშირად ხდება ამ ბოლო დროს, მაგრამ, მაინც პროგრამა პარტიას აკავლებს. თუ ჩვენ მივიღებთ სინიდისის თავისუფლების პრინციპს, ამ პრინციპის განხორციელება შეიძლება მხოლოდ ერთი გზით. იმ გზით, რომ ეკლესია განკერძოებული, გამოუფილი იყოს სახელმწიფოდან. რა აზრისაც უნდა ვიყვნეთ სარწმუნოებაზე, ან ეკლესიის განკერძოების შესახებ, მე მგონია, რომ კეთილსინდისიერი ადამიანი ერთ და იმავე დასკვნამდე უნდა მივიდეს. მე მგონია, რომ არც ერთი ნამდვილი მორწმუნე ადამიანი, რა სარწმუნოებისაც ის არ უნდა იყვეს, არ იზამს იმას, რომ მისი სარწმუნოება სხვის ხარჯზე იყოს შენახული. დაგვეთანხმეთ, რომ ხალხში არის—მორწმუნეც და ურწმუნოც, არის ერთი სარწმუნოების მიმდევარი, მეორე სარწმუნოების მიმდევარიც და რასაკვირველია, არ შეიძლება, რომ მორწმუნემ თავისი სარწმუნოება გაავრცელოს ურწმუნოთა ხარჯზე და თუ სახელმწიფო გადახდის ხარჯს სამღვდელოების შესანახად, ეს იმას ეფრქი, რომ ურწმუნოთა ხარჯზე შეინახება მორწმუნე სამღვდელობა, რომელიც მორწმუნეთა საქმეს ემსახურება.

ეს ერთი დებულება.

რა ნაირად უნდა განვახორციელოთ, და რამდენად უნდა გავიყვანოთ პროგრამაში ეს პრინციპი,—სარწმუნოების, ეკლესიის განკერძოება სახელმწიფოდან? ერთი ნაბიჯი, ერთი აუცილებელი ნაბიჯი ამ განკერძოებისკენ ამაში მდგომარეობს, რომ ჩვენ უნდა სასწავლებლებიდან გამოვყოთ, და გამოვდევნოთ სამღვთო სჯულის სწავლება. ეს ისევ იმნაირ პრობლემას წარმოადგენს: თუ ამ სასწავლებლში სარწმუნოებას ასწავლიან, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ურწმუნოებთ ახდევინებს ხარჯს, გადასახადს, რომ ამ ფულით შეინახოს ის მასწავლებლები, რომელიც სარწმუნოებას ასწავლიან სკოლაში. რასაკვირველია, თუ ერთი დებულება მივიღეთ, თუ მივიღეთ, რომ ეკლესია გამოკერძოებული უნდა იყოს სახელმწიფოდან, ისიც უნდა მივიღოთ, რომ სახელმწიფო, საზოგადო სასწავლებლში არ უნდა ასწავლიდეს იძულებით სამღვთო სჯულს, და სახელმწიფო, თავის ხარჯზე სარწმუნოების მასწავლებელს არ უნდა ინახავდეს.

მიაქციეთ მთავარი ყურადღება კანონ-პროექტის ერთ მუხლს. ეს მუხლი არის 5—6. ამ მუხლში ერთნაირი კომპრომისი არის. თუმც საზოგადოთ მიღებული არის დებულება, რომ ამ დებულებით, სამღვთო სჯული მოლიანად გამორიცხული უნდა იყოს, მაგრამ, მუსულმანების შესახებ ერთნაირი გამონაკლისი დაშვებულია. მუსულმანების შესახებ ეს გამონაკლისი ბევრი მოსაზრების გამო, არის დაშვებული. კომისიამ ძალიან ბევრი მსჯელობა იქონია ამ საგანზე მუსულმანების წარიმადგენელთან, ბევრი იმსჯელა, და ბოლოს მაინც მივიდა იმ დასკვნაზე, რომ მუსულმანებთა სასწავლებელში რასაკვირველია, საჭიროა დაცული იყოს სამღთო სჯულის სწავლა. ესი უმთავრესი მოსაზრებით ხელმძღვანელობდა კომისია. ერთი მოსაზრება უფრო პოლიტიკურ ხასიათისა არის. ეს პოლიტიკურ ხასიათის მოსაზრება ასეთი გახლავს: ჩვენ იმედი გვაქვს რომ აჭარა და ქართველი-მუსულმანები დასახლებული რაიონები, ადრე თუ გვიან, უნდა შემოუერთდეს ჩვენ ქვეყანას და ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან გვეშინიან, რომ მთელი ის აგიტაცია, რომელიც ქართველ-მუსულმანებს აშორებს ქართველ ქრისტიანებისაგან, რომელიც ერთნაირ უფსკრულს ბადებს მათ შორის,—ეს აგიტაცია დამყარებულია იმაზე, რომ ქართველებს უნდათ თავის ძმებს, ქართველ მუსულმანებს, წაართვან და მოსპონ სარწმუნოება ჩვენ რომ დავგმეშვა ეს გამონაკლისი მუსულმანებისთვის, მაშინ ისე გამოვიდოდა, რომ იმათ ექნებოდათ ერთნაირი რაიმე საბუთი, რომ ამ აგიტატორებს ეთქვათ, რომ წინეთ ასწავლიდნენ სამღვთო სჯულს და ახლა კი არ ასწავლიან მაშასადამე, მართალია რომ თქვენ სარწმუნოებას, მუსულმანთა სარწმუნოებას მოელის ერთნაირი საფრთხე იმ შემთხვევაში, თუ თქვენ შეუერთდებთ საქართველოს.

ეს ერთი მოსაზრება.

მეორე მოსაზრება იმაში მდგომარეობას, რომ ამ ცოტა ხანში ჩვენ აზრად გვაქვს შემოვიღოთ საყოველთაო განათლება, და ჩვენ ძალიან გვეშინიან, რომ ამ საყოველთაო განათლების გატარების დროს მუსულმანთა მასსა არ გავაფრთხოთ სკოლიდან. შენიშნული არის, რომ სკოლა სუსულმანთა ბავშვებს იმით იზიდავდა, რომ ამ სკოლებში აქამდის ასწავლიდნენ საღმთო სჯულს, რასაკვირველია, ეს სამწუხარო მოვლენა არის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს მოვლენა დროებითი მოვლენა იქნება. მაგრამ, ეს კომპრომისი კომისიის აზრით, საჭირო იყო. მეორე მოსაზრება, ის მოსაზრება, რომელიც ჩვენ გვიიძულებს, რომ ეს კომპრომისი დაუშვათ, არის ის, რომელზედაც ნ მუხლში არის ნათქვამი, რომ სარწმუნოებას, კი არ ასწავლიან,—„შარიატი“ უნდა ასწავლონო. სარწმუნოებისა და შარიატის შორის არის, რასაკვირველია, განსხვავება. საღმთო სჯული უფრო დიდი მცნება არის, ვიდრე შარიატი. შარიატი არის სარწმუნოების ნაწილი. შარიატი მარტო იმას კი არ ეხება, თუ რა ურთიერთობა უნდა არსებობდეს ღმერთსა და კაცის შორის. შარიატი ეხება იმას, თუ რა ურთიერთობა უნდა იყოს, საზოგადოთ, თვით საზოგადოებაში; შარიატი შეიცავს ბევრს იმისთანა კანონებს, და ისეთ წესებს, რომელნიც განსაზღვრავენ, მაგალითად, ცოლის და ქმარის ურთიერთობას, მშობლებისა და შვილების შორის. საერთოთ ბევრ იმისთანა რასმეს შეიცავს შარიატი, რომელიც შეეხება უფრო ადამიანს, ვიდრე ურთიერთობას ღმერთსა და კაცის შორის, შარიატი რომ წაართვათ მუსულმანებს, იმის მაგივრად ვალდებულნი ვართ ახალი რამ მივცეთ. უმაგისოთ შარიატის წართმევა არ შეიძლება, შარატის მაგივრად ცარიელი ადგილი დარჩება მუსულმანების ცხოვრებაში.

აი, ამ მოსაზრებით საჭირო იყო ამ კომპრომისის დაშვება. ერთი მოსაზრება მდგომარეობს იმაში, რომ მარტო იმ სკოლებში არის განსაკუთრებით შარიატის სწავლება დარჩენილი, სადაც მხოლოდ მუსლმანთა ბავშვები არიან. არის დაწესებული აგრეთვე შერეული სკოლები, სადაც სწავლობენ მუსულმანები, და არა მუსულმანები. აი აქ სამთო სჯულს არ ასწავლიან. არც ერთი საშუალო სასწავლებელი კერძოთ მუსულმანების არ იქნება და მაშინ მხოლოდ დაბალ სასწავლებელში იქნება შარიატის სწავლება. აი ამ მოსაზრებით, ჩვენ დავტოვეთ შარიატის სწავლა. ეს გახლავთ პოლიტიკური მხრივ.

რაც შეეხება სახეთო სჯულის გაუქმებას, თუ პედაგოგიურ თვალსაზრისით შევხედავთ ამ საკითხს, მაშინ ყველა დამეთანხმება, რომ სამთო სჯულის სწავლა, იმ სახით, როგორც აქამდის სწავლობდნენ ყოვლად დაუშვებელია. იმიტომ, რომ სამთო სჯულის სწავლა წარმოადგენს უმცროს კლასებში ლოცვების გზეპირებით სწავლას იმ ეხაზე, რომელიც ბავშვებს არ ესმით. აქამდის რუსულ ენაზე ასწავლიდნენ, ძაგრამ, ქართულ ენაზედაც, რომ ასწავლონ ბავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვებს, მაინც და მაინც ის იმათ გონებას არაფერს შეჰმატებს, რადგანაც ლოგიკა მაინც გაუგებარია იმისთვის. ლოგიკაში იმისთანა მცნენია არის, იმისთანა აზრი, და ისეთი იდეა გატარებული, რომელსაც ბავშვი თავის დღეში ვერ შეითვისებს• და პედაგოგიურის მხრივ, სრულიად დაუშვებელია ლოგიკის ბარდა, თუ სამხთო სკოლის სწავლას მიაქცევთ ყურადღებას, დაინახავდით, რომ რომელიმე კლასის პროგრამაც რომ აიღოთ, ყოველივე ამ პროგრამაშია სარწმუნოების სწავლა არ შეიცავს იმისთანა ლოგიკას, რომელიც ბავშვის გონებამ შეითვისოს. ბევრი იმისთანა პრობლემა არის დაბალ კლასებში, რომელსაც ბავშვის გონება სრულიად ვერ მოერევა. რასაკვირველია ამისათვის ყოველ ადამიანს დასჭირდება ესა თუ ის განათლება. თუნდაც მაგალითად, საქართველოს ეკლესიის ისტორია. მაგრამ, ჩვენი ქართული ეკლესიის ისტორია, ჩვენის აზრით, უნდა შედიოდეს არა სამხთო სკოლის სწავლაში, არამედ, პირდაპირ ისტორიის სწავლაში. ბევრი იმისთანა საგანი შედის სამხთო სკოლის სწავლაში, რომელიც ეხება ფილოსოფიას, ეს საგანი ფილოსოფიის ფარგლებში უფრო შედის, ვიდრე სამხთო სკოლის სწავლაში. თვით სწავლებაა სამხთო სკოლისა იმ სახით სწარმოებდა აკამდის, რომ ეს სწავლა სწორედ ეწინააღმდეგება თანამედროვე სამეცნიერო დებულებებს. თქვენ ამის განმარტება, მე მგონია, არ დაგჭირდებათ. იცით როგორ ასწავლიან სამხთო სკოლს; მაგალითად, ადამიანის წარმოშობა, ქვეყნის გაჩენის შესახებ, ან ბევრი სხვა-ბავშვის გონებაში ბადებს ერთნაირ არევ-დარევას. ბუნების მეტყველობა ასწავლის ერთ რასმეს,—სამხთო სკოლა—მეორეს. ყველა ამ მოსაზრებით, რომ პედაგოგიურ დარგში მეტის მეტი არევ-დარევა, მეტის-მეტი „სუმბური“, ასე ვთქვათ, არ შეეფინანთ, ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა კომისია, როდესაც შედგენა კანონ-პროექტი და ამ მოსაზრების გამო, გთხოვთ, რომ მიიღოთ და მუხლობრივ განხილვაზე გადავიდეთ.

დოლიძე. (ს.დ.) ბატონებო, სოც.-დემ. ფრაქცია ხმას უცერს ამ კანონ-პროექტს და ფიქრობს, რომ სხვა ფრივადაც არ შეიძლებოდა. საღვთო სკოლი დიდი ხანია ხელს უშლის არა მარტო სოციალიზმის უბრალო განათავეს. მოძრაობასაც. სარწმუნოებით დიდი ხანია სარგებლობდა ჩვენი მტერი, ომამ მასა, შეუფნებელი მასა ხელში ჭყოლოდა და ამნაირად არ მიეცა საშუალება განთავისუფლებულიყო და მოძრაობა წინ წაეწია. ამ მოსაზრებით სოც.-დემოკრატია არა მარტო მხარს უცერს, არამედ სიამოვნები ეგებება ამ კანონ-პროექტს. მხოლოდ ერთ, თუ შეიძლება აგრე ითქვას, ულოიკობას ჩვენ ვხედავთ ამ კანონ-პროექტში. ჩვენ ესპობთ საღვთო სკოლის სწავლას და ამავე დროს ვერ ვეფვებთ რაღაც შარიათის სწავლას მუსულმანებში და მუსულმანებთა სასწავლებლებში. დაწვრილებით, შარიათის შესახებ მოგახსენებთ, მაშინ, როცა მუხლობრივ განხილვაზე გადავალთ. მაგრამ ვიმეორებ, ყოველად შეუძლებელია, რომ თუ კი ჩვენ არც ერისთვის, არც სარწმუნოებისთვის უზრახულად ვცანით და საქართველოს საზღვრებში სარწმუნოების სწავლა არ იქნება, ის უნდა ვრცელდებოდეს სუფთა ერებზე. ამიტომ, როგორც მოგახსენებთ, სოციალ-დემოკრ. მხარს უცერს კანონ-პროექტს. მხოლოდ ის მოსახე არის, რომ მე-5—6 მუხლები. რომლებიც შეეხებიან მუსულმანების სკოლებში შარიათის სწავლის დატოვებას,—ამოიშალოს. ამაზე მოგახსენებთ მაშინ: როდესაც გადავალთ მუხლობრივ განხილვაზე (ხმა: მუსულმანი ხომ არ ბრძანდებით?)

თავმჯდომარე. პარლამენტის წევრი აფხაზი.

კოსტ. აფხაზი. (დამოუკ. კავშ.) წარმოდგენილი, ბატონებო, თქვენს წინაშე კანონ-პროექტი სპობს საღვთო სკოლის სწავლას სკოლებში, მხოლოდ იმ წესით, იმ რიგით, რომელიც ჩვენთვის სრულიად მიუღებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია, არ შეგვიძლია აქ დავიცვა ქრისტიანობის მოძღვრებისა, როგორც სავალდებულო. მაგრამ ჩვენთვის ერთი ეჭვშარიტება არის ამ მოძღვრებაში,—რომ ქრისტიანულ სარწმუნოებას ზაზოვარ-თვით სასწაულთა მოქმედებნ და ზოგიერთი მოციქულთა ეპისტოლები, დარჩება წმინდა, მორალური, მადალი სწავლა. ჩვენც ვიცით, მეც ესე მოგახსენებთ და აი, ჩვენ, როგორც ქრისტიან ადამიანებს მხოლოდ ეს მიგვაჩნია ძვირფას საუნჯეთ. მართლაც, განა ძმობა და ერთობა ეს ქრისტიანულ მოძღვრების ცნება არ არის? განა უსაზღვრო სიყვარული მოყვასისადმი რა არის? განა ეს ქრისტიანული ცნება არ არის? განა ხალხისთვის თავის დადებას და ხალხისათვის სამსახურს,—ქრისტიანობა არ გვეკარნახებს? და აი ეს უნდა მივიღოთ მხედველობაში, ბატონებო და წარმოვიდგინოთ ის მდგომარეობა, ზნეობრივი და ფსიქოლოგიური, რომელიც არსებობს დღეს ჩვენს ერში. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ამ მსოფლიო ომმა და შემდეგ იმ ანარქიამ, რომელიც მოხდა ჩვენ ქვეყანაში და თითქმის ყველგან, ამ ანარქიამ ძირს დასცა. ზნეობრივი მხარე ერისა. ტ აი, ამ მხარეს მოვალ ტ პატრონობა უნდა ისეთივე, როგორც სხვა ყველა მხარეს სახელმწიფოსას.

სახელმწიფო მოვალეა ამას ყურადღება მიაქციოს.

სინიდისი, რასაკვირველია, თავისუფალი უნდა იყოს, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ სინიდისი არის წყარო ყოველივე ზნეობრივი მოძრაობისა. და ის დიდ გავლენას ახდენს ადამიანის მოქმედებაზე, ყოფა-ქცევაზე და სხვა. მართლა რომ, თუ კი ადამიანის მოქმედებას, ადამიანის ვნებას არ უხელმძღვანელებს რაიმე ზნეობრივი გრძნობა, რას დაეშვებოდა ადამიანის მოქმედება? ეს ხომ იციათ, რომ ველურ ადამიანს, რომელმაც არ იცის რა არის სინიდისი, თუ რაიმე სურვილი დაებადა გულში, რა პიროპებიც უნდა იყოს იმის გარშემო, იმ Ო როპების მიუხედავად, ის თავის სურვილს ასრულებს. სინიდისი ისეთი მაღალი არის, უზენაესი მადლი ურომლისოდაც, როგორც მოგახსენეთ, კაცი ადამიანის სახეს ჰკარგავს. მაშასადამე, ბატონებო, მოგახსენებთ, ამ მხარეს დიდი მოცალა უნდა სახელმწიფოსაგან. და ამა მე ხაზს ვუსვამ, რომ დღევანდელ პირობებში სწორედ სახელმწიფომ უნდა დიდი ყურადღება მიაქციოს, რომ ეს ზნეობ ხალხს დაუბრუნოს და უფრო მაღლა აწიოს, ვიდრე ის დღეს სდგას.

რა მიზანი აქვს იმას, ბატონებო, რომ ჩვენ პირველ დაწყებითი სწავლას სავალდებულოდ ვხდით ხალხისათვის—ძველნ კარგად მოგეხსენებათ. ჩვენ გვსურს, ანუ სახელმწიფოს სურს, რომ, როდესაც ყმაწვილი წარმოიზდება, ის იყოს საკმარისად განვითარებული, საკმარისად აღზრდილი ზნეობრივად, რომ ცხოვრებაში შეეიღეს და მოიხმაროს თავის ჭკუა, გონება და ღონე სახელმწიფოსა და ხალხის სამსახურისთვის. სავალდებულო რად არის ეს? აი რად არის სავალდებულო. ევროპა, არა მარტო სავალდებულოდ ხდის იმას, არამედ, მშობლებს სჯის კიდეც კანონით. სწავლა მოსწავლეთვის, ეს ერთად-ერთი მიზანი არ არის, ბატონებო. თუნდაც აღეურვიღი უნდა Ჯშეეიდეს ადამიანი ცხოვრებაში, განა ზნეობრივი მხრით არ უნდა განვითარდეს? არ უნდა ჩაინერგოს ყმაწვილმა გულში, რომ მართლა ცხოვრებაში მის ქცევამ ადამიანური ხასიათი მიიღოს? და რა საშუალება გახლავთ ამის ცხოვრებაში გასატარებლად? დღეს-დღეობით, საზოგადოდ რა საშუალება უჭირავს ხელში, რომ ზნეობრივად განვითარდეს ხალხი? სამგვარი საშუალება არის, ჩემის აზრით. ერთი გახლავთ Ჯერ ოჯახი, მეორე არის ეკლესია და მესამე სკოლა. ავიღოთ ოჯახი. მომიტევეთ კი, ბატონებო, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ, ინტელიგენტურ ოჯახშიაც კი ზნეობრივი აღზრდა სრულიად არ სწარმოებს; მაინც იმოიგად, რა რიგადაც ეს ჩვენ ვიცით ინგლისში და გერმანიაში. ჩვენ ინტელიგენტის ოჯახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში რას ასწავლიან თავის შვილებს? ყოფა-ქცევას, მისვლა-მოსვლას, მიდგომ-მოდგომას, ადგილის დათმობას, ჭამა-სმას. აი ასე თავდება ზნეობრივი განვითარება ინტელიგენტის ოჯახში. ისე რომ, ამ მხრივ ჩვენ არაფერს არ უნდა მოველოდეთ ამ ცოტა ხანში მაინც. აკაფო გლეხკაცის ოჯახი. აქ ვინ სოესავს ადამიანობას, კულტურას და ზნეობას? ხომ მოგეხსენებათ, რომ იგი სრულიად არ არის ამ მხრივ ღიზრდილი. მხოლოდ ის ერთი რამ არის აქ, რომ ნათესაობრივი გრძნობა უკრძალავს, რომ ძმამ და არ შეირთოს. აი ამით იწყობა და თავდება ზნეობრივი განვითარება. ესე რომ, ამ მხრივ, ჩემის აზრით, აქაც ზნეობა უნდა დავიცვათ. ეკლესია? მაგრამ, აბა ამ კათედრიდან რა ვაკადრო ეკლესიას. ეკლესია 100 წლობით მკვდარი იყო და ჩვენდა საუბედურად, არც დღეს აღსდგა მოღვაწეობისათვის. თავის დადება ვერ გაბედა ჩვენ სამღვდელოებამ. აი, როდესაც ასეთი ანარქია სუფევდა, ჩვენ ენაბეთ, რომ ისენი კარჩაკეტილნი იყვნენ, თითქოს იმათ არაფერი არ შეეხებათო. ჩვენი სამღვდელოების წოდება არავითარი მოქალაქეობრივი გრძნობით არ იყო შემკული, და იმიტომ ვერც სიმპატია, და ვერავითარი კაი განწყობილება სოფლათ ვერ მოუპოვებია. და ვიდრე ჩვენი ეკლესია ღრმა ძირითადი რეფორმას არ მოახდენს ამ მხრივ, ის ისევ ის დარჩება, როგორც დღემდის იყო. აქედანაც საამედო არა არის რა, რომ ხალხის ზნეობა მაღლა აიწევს.

დარჩა ერთად ერთი სკოლა. და აი ამ სკოლაშიაც უნდა მოვსპოთ ეს მოძღვრება, ეს მორალის სწავლა. ვთქვათ, რომ მართლა ქრისტიანულ მოძღვრებამ, ქრისტიანულმა სარწმუნოებამ თავისი მოვალეობა მოიხადა კაცობრიობის წინ, თავისი ეტაპი მოიკმა, და ეს უნდა ეხლა მოისპოს. მაგრამ, ეხლა გეკითხებით, უბრალო ადამიანის გულში და სულში, სარწმუნოებას რომ ვართმევთ, რაღა უნდა დარჩეს სამაგიეროთ? რა უნდა დარჩეს? რას ვაძლევთ. ჩვენნა ინტელიგენციამ კულტურით, ცივილიზაციით, და სხვა და სხვა რაღეთი მაინც ამოიცსო გონება. მაგრამ, ამათ გულში რომ მართლა ფუტკრო უნდა დარჩეს. როდესაც ამას იხდენდნენ ევროპაში, იქ ვიდრე მოსპეს სამღვთო სჯულის სწავლა, შემოიღეს მორალის სწავლა, არა თუ ევროპაში, არამედ იაპონიაში. თუ კი ჩვენი განათლების სამინისტრო ამ ასკითხს ასე დაადგენდა და შეიმუშავებს და სკოლაში გახდის სავალდებულოთ, განსაკუთრებულ საგნათ მორალის სწავლას,—მაშინ, რასაკვირველია, ჩვენ უნდა მართლაც მოვსპოთ სამხთო სჯულის სწავლაც.

მეორე მხრივ მივაქცევ თქვენს ყურადღებას ტექსტის შინაარსს. ამაზე უკვე იყო მიქცეული ყურადღება. მუსულმანების საკითხი? ბატონებო, რით იკრება ეს საკითხი. იმ მოსაზრებამ, რომელზედაც მომხსენებელმა მოიახსენთ, ამ მოსაზრებამ ვერ დამაკმაყოფილა. განა თუ კი ჩვენთვის სავალდებულო არ არის, თუ კი ხაზინა, ჩვენი სახელმწიფო მართლმადიდებლებისათვის და ქრისტიანულ სარწმუნოებისათვის არ გამოიღებს ფულს, რათ უნდა ვაკადროთ ჩვენ ეს მუსულმანებს. თუ კი ქრისტიანული მშობლები, რომლებიც მოისურვებენ თავის ხარჯზე მიიღონ ეს და მოისურვებენ სამხთო სჯული ასწავლონ სკოლაში, რატომ მუსულმანებს არ შეუძლიან მიიღონ ეს თავიანთ ხარჯზე. ეს რა ქველმოქმედებაა, რა გაბოძებაა? მე ვფიქრობ, რომ ყოველი ქრისტიანი ისევ უნდა იყოს ამ კანონში მოხსენებული, ესეთივე მოვალეობა უნდა ჰქონდეს როგორც მუსულმანებს, და ამიტომ ჩემთვის სრულიად მიუღებელია ის ტექსტი, რომელიც არის ამ კანონით გამოსახული. მე მოგახსენებთ, ბატონებო, რომ სახელმწიფო მოვალე არის, რომ დღეს დღეობით თავის ხარჯზე აწარმოოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლა სამღვთო სკოლის, და ან ამ მოსაზრებით, მე როგორც მოგახსენებ, შემომაქვს შემდეგი წინადადება ამ კანონ პროექტის შესახებ.

ეს კანონი უნდა იყოს გამოსახული 2 მუხლში. პირველი შემდეგია: 1. არც ერთს სასწავლებელში სამღვთო სკოლის სწავლა საჯალდებულო არ არის. 2. ხოლო თუ შშობლები მოისურვებენ ბავშვებისათვის სამღვთო სკოლის სწავლებას, სახელმწიფო მოვალეა ამისათვის საჭირო ბარჯი გაიღოს.

ესე იგი ეს სულ ერთია რა სარწმუნოება იქნება სასწავლებლებში, მუსულმანების იქნება თუ ქრისტიანების. ყველა ერთნაირი უნდა იყოს ამ სასწავლებელში, და ამიტომ, ყველას საერთოდ რაც ხარჯი დასჭირდება, სახელმწიფომ უნდა გადაიხადოს. ეს რაც შეეხება წარმოდგენილ კანონ-პროექტს.

სხვათა შორის, მე მივმართავ პარლამენტს, რომ გამოსთქვას სურვილი, რათა განათლების სამინისტრომ მიიღოს საჭირო ზომები საქართველოს სკოლებში მორალის სწავლების შემოღებისათვის.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის განათლების მინისტრს.

განათლების მინისტრი გიორგი ლასხიშვილი. ბატონებო! როდესაც საოსტატო სემინარიების და ინსტიტუტების შესახებ კანონ-პროექტს იხილავდა პარლამენტი, მაშინ შემთხვევა ჰქონდა განათლების სამინისტროს წარმომადგენელს გამოეთქვა თავისი აზრი ამ საკითხის შესახებ. ეხლაც ვიმეორებ, რომ არც მთავრობას და არც კერძოდ უწყვიტს არაფერი საწინააღმდეგო არა აქვს პრინციპიალურად ამ საკითხის წამოყენების შესახებ. სამინისტრო თანაუგრძნობს ამ კანონ პროექტს, წარმოდგენილს ეხლა სასკოლო კომისიის მიერ.

მაგრამ, თუ თითონ სამინისტრომ არ წარმოადგინა ეს კანონ-პროექტი, ამის მოსაზრება გახლავთ შემდეგი.

ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა საერთოდ სკოლების ტიპის, სკოლების პროგრამების შესახებ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ წრეგანდილ სამოსწავლო წელს, ჩვენ პედაგოგიურ მუშაობაში ეერ მოვასწრეთ ბოვდინოთ ისეთი რადიკალური ცვლილებები, რომელიც საჭიროა სკოლების გადაკეთების და პროგრამების გადახილვისთვის,—საკმე გადავდეთ მომავალ წლამდის. ამ რიცხვში გახლავთ სამღვთო სკოლი. ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ამ ხანის განმავლობაში, გამოირკვევა ის ძირითადი საკითხი, რომლიდანაც ასე თუ ისე გამომდინარეობს საკითხი ეკლესიის და მთავრობის ურთიერთობისა.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ რომ ეს საკითხი მოკლე ხანში უნდა გადაწყდეს, ასე თუ ისე დამოკიდებულება ეკლესიისა და სახელმწიფოს შორის გამოირკვევა, ესე იგი ეკლესია დამორჩეული იქნება სახელმწიფოსაგან და მაშინ, თავის თავად ეს საკითხიც სწყდება. ჩვენ სამოსწავლო წლის მსვლელობის დროს უხერხულად ვცანთ, რომ შემოკლულიყავით ამ კანონ-პროექტით გარდა ამისა, ჩვენ გვქონდა შემდეგი მოსაზრება. ჩვენ საჭიროდ ვთვლიდით, რომ სამღვთო სკოლის ადგილი დაეჭირა სხვა რიგზე საგანსა,—საეკლესიო ისტორიას, შეიძლება ეთიკას, უფროს კლასებში; არ გვინდოდა, რომ ცარიელა ადგილი დარჩენილიყო ამ სამღვთო სკოლის ადგილას. გარდა ამისა ეს უხერხულია შენდა პრაქტიკულადაც. შშობლები, რომელმაც არ იცოან ასწავლიან ამათ შვილებს სამღვთო სკოლს თუ არა, ეხლა ზომ ვერ მოახერხებენ ამ საქმის ორგანიზაციას, ეკლესიაც მათ ვერ მოეხმარება, თითონ მოუწყობელია, სასწავლებლებში გაკვეთილები განაწილებულია, საღამოობით არის სწავლა შემ- ოღებული ბევრი ტეხნიკური დაბრკოლება არის, და ამიტომ ჩვენ ვფიქრობდით, რომ შემოგვეტანა ეს კანონ-პროექტი მომავალ სამოსწავლო წლისთვის, როდესაც იქნება საერთოთ გადასინჯული პროგრამები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად ამისა, რაკი ამ კანონ-პროექტმა მოაღწია პარლამენტამდე და კომისიამ შემოიტანა აქ, ჩვენ, ვიმეორებთ, წინააღმდეგი არაფერი გვაქვს, მხოლოდ უნდა გამოვთქვა ის აზრი, რაც აქ გამოსთქვეს ზოგიერთმა ორატორებმა, რომელნიც გამოდიოდნენ ამ კითხვის ირგვლივ, რომ არ არის ამ კანონ-პროექტში დაცული მთელანი პრინციპი, არის სამღვთო სჯულის სწავლება ისეთი სახით, რომ ერთისთვის საყალდებულოა, მეორისთვის კი არა. ეს კი სრულიად ეწინააღმდეგება მთლიანობას და არღვევს პრინციპს. მაგ. მაპმადიანებისთვის საყალდებულოა სამღთო სჯული. თუ ეს საყალდებულოა, მაშინ ისე გამოდის, რომ რაღაცა პრივილეგიურ მდგომარეობაში ვაყენებთ ამ სარწმუნოებას და არა მგონია, რომ გვქონდეს რამე გასამართლებელი საბუთი, იქნება ეს პედაგოგიური, თუ პოლიტიკური.

აი ასეთია სამინისტროს და მთავრობის აზრი. ჩვენ არ შემოვიტანეთ ეს კანონ-პროექტი დროზე იმიტომ, რომ უხერხულად ვცნობდით სამოსწავლო წლის განმავლობაში შემოგვეტანა ასეთი რაიმე, ვინაიდან არ არის არც სამაგიერო საგნის სწავლა, არც საერთოდ მასწავლებლები. რომლებიც საჭირო არის ამ საგნებისთვის. ესენი მზად მყავს, მხოლოდ ქართულ ენაში. აი ამ ზოგიერთი პრაქტიკულ მოსაზრების გამო ეს საკითხი ჩვენ დადგდეთ მომავალ წლისთვის, როდესაც საერთოდ გადაინჯული იქნება პროგრამები. თუ პარლამენტმა მიიღო ეს კანონ-პროექტი ჩვენ წინააღმდეგობას ვაცხადებთ 2 მუხლის შესახებ, რომელიც შეეხება მაჰმადიანის საღმთო სჯულის სწავლებას.

თავმჯდომარე სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს შალვა ქარუმიძეს.

შ. ქარუმიძე. (დამ. ერ.-დ.) ბ.ბო, საქართ. პარლამენტის წევრნო! ბედი კანონ-პროექტისა გადაწყვეტილია. წარმოდგენილია იგი სასკოლო კომისიის მიერ, სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია სიხარულით ეგებება და მისი ოფიციალური ორატორი ბ-ნი დოლიძე მეტს რადიკალიზმს თხოულობს, ვეპირდება მეხუთე და მეექვსე მუხლების ამოშლას და მით მუსულმანთა სკოლებშიაც კი შარიათის სწავლების ბოლოს მოღებას.

მართალია, ბ-ნმა განათლების მინისტრმა განაცხადა, რომ თუმცა მთავრობა და თვით მინისტრიც პრინციპიალურად იზიარებენ კანონ-პროექტს, მაგრამ მაინც სწადდა წლის ბოლომდის შენახვა სჯულის სწავლებისა, რათა ტეხნიკურად უხერხულობა არ გამოეწვიათ უკვე გაწყობილ სასწავლო გეგმებში. მაგრამ მე ვიცი, რომ თითონ განათლების სამინისტროს გადადგმული აქვს ნაბიჯები, რომელნიც ფაქტიურად უკვე სწყვეტავენ სჯულის სწავლების საკითხს.

ამ წლის ენკენისთვის თარიღით სამინისტროს დაგზავნილი აქვს ყველების განწილვა და ბევრს სიაში საღვთო სჯული უკვე შეტანილი აღარ გახლავთ. მე მაქვს ნახული ასეთი სიები. ამის შესახებ მე ოფიციალურად შეეკითხე საპარლამენტო კომისიის სხდომაზე სამინისტროს წარმომადგენელს ბ. ბერიძეს. ნათქვამიდან გამოირკვა, რომ სამინისტროს საჭიროდ უცვნია დამატებითი ცნობები დაერიგებინა. გარდა ამისა, თქვენ მოგეხსენებათ, რომ სამინისტროს უკვე ჩამოართვა საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს სასულიერო სკოლები, რომელთ თავარ მიზნს დღემდის სასულიერო პირთა აღზრდა შეადგენდა. არ ვიცი, როგორ შეასრულებს ამ მიზნს სამინისტრო, განსაკუთრებით დღევანდელ კანონის მიღების შემდეგ, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ბ-ნ მინისტრის მოგზავნილ საქმეს ვერ ვხედავ ფაქტიურ მდგომარეობას შეეფერება. ამის შემდეგ გაუგებარი ხდება ბ ნ მინისტრის მეორე განცხადებაც. ეს სიტყვით მთავრობა ამ საკითხს უკავშირებს სახელმწიფოდან ეკლესიის გამოყოფის საკითხს. თუ ეს ასეა, მაშინ მით უფრო გაუგებარია ის დღეი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჩქარება, რომელსაც იჩენს ამ საკითხში სამინისტრო განკარგულებებით და პარლამენტი კანონმდებლობით.

ამგვარად ყველა ძალები შემოკრებილია, საჭირო საფეხურები ავლილია და კანონ-პროექტი დღესვე კანონად იქ.ცეგა!

კანონმდებლობის გზით ხდება დიდი, უმაგალითო რეფოლიუციონური აქტი ჩვენი ხალხის ცხოვრების ისეთ სფეროში, საცა რეფოლიუციას არავითარი ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ხდება აქტი დიდი და არა დადებითი მნიშვნელობისა და ჩვენ, უმცირესობა ვიმაღლებთ ჩვენ ხმას მის წინააღმდეგ.

ბ· მომხსენებლის მოსაზრებიდან ჩვენ მხოლოდ ერთს აზრს ვიზიარებთ, მაგრამ ამ აზრს არ იზიარებს თვით კანონ-პროექტის შინაარსი. ვეთანხმებით, როგორც მომხსენებელს ბ-ნ ნათაძეს, აგრეთვე ჩემ წინა მოლაპარაკეს ბ-ნ კ. აბზაზსაც და მათთან ერთად ვიტყვით, რომ უნდა მოხდეს რეორგანიზაცია სწავლულს სწავლებისა და არა მარტო სწავლულის სწავლებისა, არამედ მთელი სკოლისა. რუსული სკოლა, სავსე უარყოფითი მხარეებით, დამოუკიდებელ და თვითარს საქართველოს, რასაკვირველია, არ გამოადგება და ჩვენი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა სწორედ სკოლის შეცვლით უნდა დაიწყოს. ცვლილებანი უნდა მოხდეს ყოველის მხრივ მათ შორის სწავლულს სწავლების რეფორმაც. მაგრამ საინტერესოა, რათ ვიწყებთ ამ განახლებას სწავლულს სწავლების არა რეფორმით, არამედ მისი სრულიად აბოლშეთ სამოსწავლო საგნებიდან?

რას უნდა მიეწეროს ეს? ცხადია ჩვენ გონებრივ სისუსტეს, რომელსაც ვერ დაუძლევია დიდი საქმე და იჩენს ძალას იქ, რაც ერთი შეხედვით ადვილი დასაძლეველია.

ეს გახლავთ დიდი ორიგინალობა ჩვენი პარლამენტის მიერ, რომლის მსგავსი არ ახსოვს არც ერთ განათლებულ ქვეყნის ისტორიას.

არა ყოფილა არც ერთი მაგალითი მსოფლიო ისტორიაში, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილიყოს ასე განყენებულად, ისტორიულ პირობათა გარეშე ტ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეკლესია ჯერ კიდევ სახელმწიფო ინსტიტუტი გახლავთ და ბევრ დიდ სოციალურ და პოლიტიკურ მნიშვნელობის სფეროებში სახელმწიფო ემყარება ამ ეკლესიას. უმაგალითო გახლავთ აგრეთვე ის მოურიდებელი სითამამე, რომელსაც ჩიენს ახალგაზდა სახელმწიფო ძველი ინსტიტუტების შლაში, როდესაც ჯერ კიდევ ახალი მათ მაგიერი არ შეუქმნია და ძველების უსარგებლობაში სავსებით არ დარწმუნებულა.

ჩვენ და თქვენ, ბ ნო სოციალისტებო, დღემდის ერთში ვერ მოვრიგებულვართ. თქვენ ზლით საქართველოს მთელ წარსულს და მის მომავალს აშენებთ „სუფთა ფიცარზე“. აი ეხლაც, თქვენ ქართველი ერის სულიერი სახე, მისი სარწმუნოება და სინიდისი აღბად სრულიად „ცალიერი ფიცარი“ გგონიათ და ამირეზი ამ უღვთო კანონის ჩაწერას. მაგრამ სცდებით. ქართველი ერი სულიერ—სარწმუნოებრივ სახეს თავისი ისტორია აქვს მდიდარი ძლიერი ტრადიციით, სარწმუნოებრივ და ინტელექტუალურ ევოლუციის საკუთარი გზით.

დღესაც, როდესაც კვლავ აღსდგა პოლიტიკური ცხოვრება საქართველოსი, აღსდგება მისი სულიერი კულტურის ევოლიუცია და მხოლოდ ის ნაბიჯი იქნება გონიერი, რომელსაც იგი შეითვისებს. დღევანდელი კანონ-პროექტი სრულიად უცხოა ჩვენი ერის ინტელექტუალურ-რელიგიოზურ ევოლიუციისათვის, არ უდგება მას და ვერავითარი მოსაზრებანი ბ-ნ მომხსენებლისა, ვერც პოლიტიკური ტ ვერც პედაგოგიური მას ვერ ამართლებს; ფასი არა აქვს არც ბ-ნ დოლიძის არგუმენტს, სკოლის სწავლების აღკვეთას დემოკრატიულის მოსაზრებით, პირიქით პოლიტიკური ისტორიაც, საღი პედაგოგიკაც და ეკონო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიტი დემოკრატიზმიც მხოლოდ იმას გვეუბნებოდა და გვეუბნება განათლებული ლი ეროპის მაგალითებითა და ჩვენი საწყალი სინამდვილის ენით, რომ ეს კანონი არის პოლიტიკურად გონიერებას მოკლებული, არა პედაგოგიური და არა დემოკრატიული.

ჩავყევით მომხსენებლების არგუმენტაციას. ჩვენ ვეთანხმებით, რომ არიან განათლებული ქვეყნები, საცა სახელმწიფო სკოლას სრულიად საერო ხასიათი აქვს და სჯულის სწავლება გაუქმებული. მაგალითად, როგორ და რა პირობებში მოხდარა ეს? უპირველესი ქვეყანა, საცა სკოლაში არა აქვს ადგილი სჯულის სწავლებას—ამერიკა. გახსოვთ მაგრამ სამაგიეროთ იქ სჯულის სწავლების დათმობილი აქვს შაბათი მთლათ და ეკვირაც ზედ მისდევს. 1902 წლის ცნობებით "შეერთებულ შტატებში" 140,000 საკვირაო სკოლა არსებობდა, საცა მოზარდი თაობა იკლავდა რელიგიურ წყურვილს. 139,817 მასწავლებელი და 12,000,000 მოწაფე ბაასობდა ამ სკოლებში სჯულ ის საკითხებზე.

განსაკუთრებით თავისებური გახლეფილ ამერიკის ისტორიული პირობებიც. თქვენ იცით, ბატონებო, რომ ამერიკა სულ ახლათ სჭიდავდა თავის ისტორიას და ამ საქმიანობაში მას ხელი არ ჰქონა შეკული არაკეთილი ზოგადებრივ სახელმწიფოებრივ ტრადიციით, როგორც ევროპაში, ან ჩვენში. ეკლესიასაც ამერიკელი საოცარად ბრალობა არ და-ყენებია. ამერიკელ საბულმწიფოსათვის ეკლესია არა ყოფილა ის ყაბარჯინი, რომელზედაც იყრებოდნენ და ტალის შემწეობითაც ადიდებენ ფეხი კრუტ ნენტალეუმ ! სახელმწიფოები და მათ შორის საქართველოსაც. მაგ-ამ ამერიკაში არ არის ინდეფერენტიზმი, მით იუმეტეს ბრძოლა ეკლესიასადმი ! პირიქით არ არის ხალხი, ისე ღრმათ რელიგიოზური, ღვთის მმოლვი, ამ სიტყვის წმ ნდა მნიშვნელობით, როგორც ამერიკელები, არსად მთელ ქვეყანაზედ არ გახლავთ ისეთი დიდი და ისეთი გავლენის მქონე საეკლესიო ჰიერარსია, როგორც ამერიკაში. არსად სამღვდელოებას არა აქვს ისეთი დიდი ავტორიტეტი, როგორც იმავე ამერიკაში და ეონებრივითაც ისე არსად გახლავთ უზრუნველეოფილი. აბ, ბატონებო, მოწმიანე დემოკრატიის სამშობლოს ამერიკას როგორ აქვს გადაწყვეტილი და მოწესრიგებული სჯულის სწავლების საქმე.

თქვენ რომ საქმის ჩადენა გინდათ ამ კანონის მიღებით, იქ, რასაკვირველია თავში არავის მოსსელია. აქ ცხოვრებს, ისტორიულ მსვლელობას გაუნთავისუფლებია სკოლა სჯულის სწავლებისგან ისიც და მხოლოთ მაშინ, როდესაც ღაღვნა ძლიერი, უფრო შესაფერი შენობა საზოგადოებრივი შეგნებისა და ამგვარად შექმნილა ის ეროვნულად ფიქვნილი ვითარება, რომლისაკენაც უნდა მიისწრაფოდეს კულტურული ადამიანი.

თქვენ რომ ასწორობთ ამ ამერიკას სისასტიკეში და სრულიათ აუქმებთ სჯულის სწავლებას, რომელ წყაროთან გზავნით ხალხს დიდს ბუნებრივ და სამარადისოთ უკვდავ ძლიერი სულიერ წყურვილის მოსაკლავათ? თქვენი პატიული ბროშურები და ჩვენი ზნეობრივად გაალახნენული ცხოვრება, მეტ ხომ ჯერ-ჯერობით აღარაფერი მოგვეპოება, მერწმუნეთ, ეფრავეთანრი მასალა გახლავთ ხალხის ზნეობრივ აღსაზრდელთან! ამერიკას მოსდევს თავისი რაღაკალიზმით—საფრანგეთის.

მოგახსენებთ საფრანგეთზედაც. საფრანგეთი თქვენთვის განსაკუთრებითი ყურადღებისა და სიყვარულის ქვეყანა არის. თქვენ ზუდან გეჩინდათ დიდი სიყვარული მიბაძვისა იქაურ აქტებისადმი. ამ შემთხვევაშიაც ალბათ გსიბლავთ

საქართველოს პარლამენტი. გაზ. „საქარ. რესპ." დამატება № 105.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასტიკი ბრძოლა, გამწვავებული დამოკიდებულება საფრანგეთის ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, მაგრამ ჯოხზე მჯდომ რაინდის როლში გამოდიხართ! არ გეიმეგბათ ის, ვისაც თავზე კორონანტელის ადენას უპირობთ, არ გეიმეგბათ მიტომ, რომ თქვენზე ნაკლებ არ არის დაინტერესებული საქართველოს ბედნიერებაში, თქვენზედ ნაკლებ არ უყვარს იგი და თქვენზე ნაკლები იქნებ ღვაწლიც არ მიუძღოდეს.

მიბაძავე მარტო ავში კარგი არ არი და უნდა შეგწევდეთ უნარი კარგიც მიბაძოთ! მართალია საფრანგეთის სკოლა მთლად საერო ხასიათისაა, მაგრამ სასკოლო კანონმდებლობაში არის შემდეგი მუხლი, რომელიც არ უნდა გამოგბარიდათ მხედველობიდან. ეს მუხლი ამბობს: „საზოგადო სკოლებში მეცადინეობიდან თავისუფალი უნდა იყოს ერთი დღე, გარდა კვირისა, რათა მშობლებს, რომელსაც სურთ სასულიერო აღზრდა არ მოაკლონ შვილებს, ჰქონდეთ ამის შეძლება. ეს „სასულიერო“ დღე საფრანგეთში ხუთშაბათი გახლავთ. ფრანგის ერი უხვად სარგებლობს ამ დღით: საფრანგეთის რევოლიუციონერებზე და სახელმწიფო მოღვაწეებზე შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მათ შური სამღვდელობისადმი არ იძიეს ფრანგის ხალხზე და მის სულიერ-რელიგიურ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ზრუნვა გამოიჩინეს. სახელმწიფომ დააკანონა ამ საგნისათვის ერთი დღე და საქმის მოგვარებას, თუ მოგებსენებთ, დიდი დახმარება გაუწია. თქვენზე ეს არ ითქმის! თქვენ, ბ-ნო სოციალისტებო. შურს იძიებთ, რადგან ამ დღევანდელ კანონს გარდა შურისძიებისა სხვა არაფერი დაერქმის და შურს იძიებთ არა თუ მარტო ქართველ ეკლესიაზე და სამღვდელოებაზე, რომელსაც თქვენთვის დახმარებისა და თანაგრძნობის მეტი დღემდის არა დაუშავებიარა, არამედ მთელ ქართველ ხალხზედ. ხომ ვერ იტყვით იმას, რომ ჩვენს ხალხს არა აქვს არავითარი რელიგიოზური მოთხოვნილება. არა სპირია ზნეობრივი აღზრდა? თუ ვერ იტყვით ამას, მაშ როგორია თქვენი ზრუნვა ამ დიდი საქმის შესახებ? იქნება კანონპროექტის მეოთხე მუხლზე გაქვთ იმედი, რომლის ძალით მშობლებს აძლევენ წინადადებას, როგორც სურთ ისე მოაწყონ ეს საქმე. მაგრამ კარგად იცით, რომ ჩვენ სინამდვილეში და ჩვენი საზოგადოებისათვის, რომელიც არ იცნობს არავითარ ინიციატივას, რომელიც არ იცნობს კონგრეგაციების რამ მინაგვარს მოძრაობას—ეს მუხლი არავითარ არსებით მნიშვნელობას არ შეიცავს. თქვენ საქციელსა და ფრანგთა საქციელს შორის არავითარი შედარება არ არის. თქვენ რომ მათ ადგილას ყოფილიყავით, ფესვიანად აღმოფხრიდით ყველაფერს, რასაც კი სჯულთან რაიმე კავშირი აქვს. თქვენ იცით, რომ საფრანგეთში ეკლესიამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა რევოლიუციას და რესპუბლიკანურ მთავრობას. ეკლესია ძლიერ ძალასაც წარმოადგენდა მის ხელში იყო აღზრდა, მომავალი სახელმწიფო დაწესებულება და დიდი, ძალიან დიდი, გავლენა დაბალ ხალხში. მაგრამ ბრძოლაში ის მარტო ამ შინაურ ძალას არ ემყარებოდა ხოლმე. მან არა ერთხელ ჩაერია საფრანგეთის საქმეებში ისეთი გარეშე ძალა, როგორც გახლდათ რომის პაპი და კათოლიკეთა ეკლესია. მაგრამ არც ერთხელ მთელი საუკუნე დავის დროს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, არც ერთხელ, თვით რევოლიუციის უძლიერეს აქოჩრის დღესაც, არც ერთ უკიდურეს რევოლიუციონერ მთავრობას არ ჩაუდენია ის, რასაც თქვენ ჩასდიხართ: ხომ არ არის საფრანგეთის ისტორიაში დღე, როდესაც წაშლილიყოს ძველი და მის მაგიერ ახალი არ შემოეღოთ! თვით როგესაც ეროვნებამ აღკვეთა ძველი, მაგრამ მის მაგიერ ახალი კულტი მისცა ფრანგებს, კულტი „უზენაესი არსებისა“. არის რამ საქართველოს ეკლესიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებაში მინაგვარი იმისა, რასაც ახლენდა კათოლიკეთა ეკლესიაზე საფრანგეთში? მე ღრმად ვარ დარწმუნებული და დამეთანხმება ყველა, ვინც-კი დაახლოებით მაინც იცნობს საფრანგეთის რევოლუციის სულს, რომ ჩვენი ეკლესიის წარსული, მისი ჯვარცმა და ტანჯვა ერისათვის, მისი შეფიცული ბრწყინვალე ნაბიჯი 12 მარტის აქტით გადადგმული დიდ ენტუზიაზმს გამოიწვევდა საფრანგეთში.

მაგრამ დავისაკენთ ნათქვამი. ჩემ მიერ მოყვანილი ცნობებიდან შემდეგი აშკარაა: მოზარდი თაობათა რელიგიოზური სწავლა და აღზრდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირად არის გარდაწყვეტილი და მოწყობილი. მთავარი და მბრძანებლობითი მნიშვნელობა ჰქონიათ: ისტორიულ პირობებს ხალხის ეროვნულ თვისებებს, ეროვნულ ტრადიციას და კულტურას და ეკლესიის როლს ამ კულტურაში და მის პოზიციას სახელმწიფო ცხოვრებაში. სწორედ ამ მოვლენებთან აიხსნება, რომ საკითხის ერთსა და იმავე გადაჭრას და მოგვარებას სხვადასხვა ქვეყნებისათვის სხვადასხვა შედეგი მოუტანია. ყველა მოწინავე ქვეყნების შესახებ კი ერთი რამ საერთოა: იქ სჯულის სწავლებას ეკარგება დოგმატიური ხასიათი და ღრმადვება მისი აღმზრდელობითი მნიშვნელობა. იგი ღიგს უდიდეს სოციალურ ფაქტორს წარმოადგენს ყოველივე სახელმწიფოს ცხოვრებაში. და არსად ამ ქვეყნებში ადგილი არა ჰქონია ისეთ კანონს, რომელიც სჯულის სწავლებას სრულიად აუქმებდესს, როგორც თქვენ სჩადიხართ. ეს ბარბაროსული მოვლენა გახლავთ და ევროპის ქვეყნები კი კულტურულ გზას ადგანან. და ამ კულტურულ სახელმწიფოზე, ვეუბნობთ ძალიან, რომ ამ კანონმა ჩვენთვის სასურველი შთაბეჭდილება მოახდინოს. დღეს კი, როდესაც დამოუკიდებელი საქართველო ელის მათ მიერ ცნობას თავის სუვერენობისას—განსაკუთრებითი დიდი მნიშვნელობა აქვთ, რაც ქთვენ არა ერთხელ აღგვინიშნავთ. ჩვენც სწორედ ევროპიელის საზომით უნდა მოვსულიყავით ამ საგნის გადასაწყვეტად, ჩვენთვის აუცილებელი იყო და არის რეფორმა სჯულის სწავლებისა. როგორი, რა ფარგლებისა და რა ხასიათისა იქნება ეს რეფორმა ცალკე კანონის საქმეა და დღეს ამაზე ლაპარაკი სრულიად უადგილოა. დღეს აღსანიშნავია შემდეგი: საქმე გვიადგილდება იმით, რომ თვით ჩვენი სამღვდელოება გრძნობს ამ რეფორმის აუცილებლობას და მისი თანახმაა: და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამღვდელოება რომელმაც თქვენ დაუხმარებლად და თქვენის ძალიან საეჭვო „თანგრძნობით“ მოახდინა უდიდესი ეროვნული აქტი, განაახლა ავტოკეფალობა, მოაწყო იერარქია ნამდვილ დემოკრატიულ პრინციპებზედ, ეს სამღვდელოება შესძლებს სჯულის სწავლების რეფორმებსაც და მოაწყობს ამ რეფორმას ევროპიულად.

ჩვენ მათ არ ვკითხეთ და საქართველოს პარლამენტი დღეს იღებს კანონს საქართველოს ეკლესიის ცხოვრებასა და გაგლენის სფეროს წინააღმდეგ ამ ეკლესიასთან მოურიგებლად!

მეტად ძლიერი გახლავთ დადებითი მნიშვნელობა ქართველი ერის ცხოვრების ყველა სფეროებში საქართველოს ეკლესიისა და მისი გვერდზე ავლა არ გვეპატიება. ტრადიცია და ჩვენილი კვალი იჩენს თავს ჩვენს მომავალ რელიგიოზურ ცხოვრებაში, მაგრამ მაშინ ამაოთ იქნება დახარჯული ენერგია და ამაოთ იქნება შეღახული პრესტიჟი ახალგაზდა კანონმდებლობისა.

ერთი რამ ცხადია. კანონი ჩვენ სამღვდელოებას ახალ გზას უჩვენებს, რომელითაც მას არ უვლია ჯერ. ამიერიდან სახელმწიფოში მან საკუთარი გზა უნდა ეძიოს. მაგრამ, რამდენად ხელსაყრელია ეს პატარა ერისათვის? ერი ჩვენი და უმთავრესთ ჩვენი დემოკრატია ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ საჭიროებს და დიდათ საჭიროებს რელიგიურ ხელმძღვანელობა. უნდა გვქონდეს გამბედაობა და გვეყოფნიდეს სიფაქიზე ვთქვათ ნამდვილი, ჩვენი ერის უმრავლესობა წარმართობის მსოფლ მხედველობითაა მოცული. „ხატს", სამხვეოს, ბერად შეყენებას, მკითხავს ჯერ კიდევ სამტარო ადგილი უჭირავთ მის გონებრივ სალაროში და მოქალაქობრივ აღრზადში. თუ როგორია მისი უფლებრივი შეგნება პატივცემულმა კ. აფხაზმაც საკმაოთ მოგვასენათ.

ასეთ ხალხში კი რელიგიოზური დაწესებულება და აღრზდა შეიძლება გადაიქცეს იმ ალრათ, რომელითაც ჩაკა საზოგადოების ყველა წევრებში შეგნება უფლებისა, იდეა მოვალეობისა, სამართლიანობისა და ადამიანობისა (რუსია ადელილდამ—ეკლესია საჭირო არ არის!). ალრა, ბატონო—რუსია, საჭირო გახლავთ გინდ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ კლასობრივ სიძულვილისა, ბოროტებისა და სოციალურ ომის ხანაში და ატმოსფერაში შეიტანოს სიტყვა ზავისა, მშვიდობისა, ძმობისა, სათნოებისა და სიყვარულისა!

აი, ბატონებო, სანამდეილე ევროპისა და ხმა ჩვენი საკუთარი ცხოვრებისა. თქვენი კანონი მას უნდა შეეფერებოდეს და არა იმას, რაც აქ ბ-ნმა მომხსენებელმა გადაგიშალათ.

არც მორე მოსაზრება ბ-ნ მომხსენებლისა, მოსაზრება პედაგოგიური, თბოოლობს იმას, რომ ეს კანონი მიგვღოთ. პირიქით ამ მოსაზრებით იგი უარ უნდა ყოთ. არსებითად პედაგოგიკას არა სწამს რევოლუცია არც ხალხი ბსიხიკის აღრზდაში, არც სასკოლო საქმეში. ეს კანონი კი ლრმად რევოლუციონური, როგორც ხალხის რელიგიოზური ფსიხიკის მიმართ, ისე სასკოლო სწავლებაშიაც და მაშ.ადამე პედაგოგიურის მხრივ ყოველად მიუღებელია. და ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლიანი შეფასების პრინციპზეა აშენებული. უსამართლობა თურმე გაჩენილავო და აგრეთვე შეეხება შრომის სამართლიანი ანაზღაურების პრინციპისა ის მოვლენა, რომ ურწმუნოთ გადაგახდეევინოთ ფული მორწმუნეთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. უნდა მოგახსენონ, რომ სასულიერო პირის მოღვაწეობას ჩვენ ღრმად საზოგადოებრივ ხასიათის შრომათა ვთვლით და აი ამ საბუთით მის გადახდაში ყველა უნდა იღებდეს მონაწილეობას, სწორედ ისე როგორც ყოველივე ქართველი ვერ შევალ ლეკციების მოსასმენლად უნივერსიტეტში, ყველა ქართველი ვერ ისიარებს თეატრს, ვერ გაიზიარებს ყველა კულტურულ დაწესებულებას, ამ დაწესებულებათა ბიუჯეტში კი სახელმწიფო ყველას მიადგენინებს მონაწილეობას. იელიგია, როგორც ხელოვნება, სულის მოთხოვნილება გახლავთ. შრომის პატივისცემა დიდი, კეთილშობილი მცნებაა არის და იგი ყველასათვის საყალდებულო უნდა იყოს და ვეფერი პატივისცემა და შეფასება გახლავთ შრომისა, როდესაც ხალხს, რომელთაც შეიძლება სიცოცხლე სჯულის მასწავლებლობაში გაუტარებიათ, შეეფერებიათ ენერგია და იქ ჩაუკლავთ სიყვარული და რწმენა, სახელმწიფო ითხოვს „დღიდან ამ კანონის მიღებისა“ და აძლევს სალიკვიდაციოს ის კანონის ძალით, რომელსაც უმთავრესად ფრონტის მოხალეთაგან უნდა გაეწიოვინუფლებინა საქართველო.

არამც თუ შრომის პატივისცემაზე შეიძლება ლაპარაკი, არამედ აქ პიროვნების ელემენტარული პატივისცემაც აღარსად გახლავთ და ეს ხალხი სჯულის მასწავლებლები პირდაპირ კანონს გარეშე რჩება. ხომ არ შეიძლება რომელიმე დარგის მუშის ასეთი „ლიკვიდაციაზ?“ მას დაიცავს კანონი და მის მომხრეთ უმალ შრომის მინისტრი გამოვა.

იმავე საფრანგეთმა 1905 წ. 9 დეკემბრის კანონში ორი მუხლი შეიტანა. რომლითაც მოაწყო სამეგდელობა სახელმწიფომ ეკლესიის ვამოყოფის შემდეგ და პატიცი სცა შრომასაც და პიროვნებასაც. ჩვენ ალბათ ჯერ შორსა ვართ ასეთ ელემენტარულ კულტურულ და სახელმწიფოებრივ შეგნებისაგან. პარტიული, ეგოისტური პოლიტიკა გვიხეთავს სულს

სოციალ დემოკრატიის ოფიციალ ორატორს, ბ. ნ დოლიძეს მე შემდეგს მოვახსენებ. მისი ფრაზა სოციალიზმისა და სარწმუნოების ტრონაზე კარგად შეხეპირებული „ეროფუტის“ პროგრამიდან, მაგრამ კარგა არ არის ნახმარი, განსაკუთრებით „დემოსის“ (ხალხის) სახელით, სასტიკი აზრი, რომლის თქმა მეცნიერთ ეპატიებათ, ვინაიდან ისინი შესწდომიან მეორე სარწმუნოებას—მეცნიერებას, სხვას არ ეპატიება და სიმბოლურს იწვევს მხოლოდ. ეს იცოდეს ბატონმა დოლიძემ, რომ არსად, არც ერთ წერეთში ისე ღრმად არ არის ხოლმე ჩასული უხილავი ფესვები სარწმუნოებისა‘ როგორც დემოსის გულში. სარწმუნოებრივი გრძნობა ულეველი, ამოუფხეკელი მოთხოვნილებაა კაცის სულისა, იმ სულისა, რომელიც მუდამ უკუნითი უკუნისამდე ეძებს იდეალს. სხვა და სხვა ფორმის სახით მას იცნობს ყოველნაირი ცივილიზაცია და სუფთელი და ცდა მის აღმოსაფხვრელად მიმართული დიდი გონიერებას მოკლებული სითამამე იქნებოდა ყოველ რევოლიუციის, მსოფლიო კატასტროფის დროს სწორედ „დემოსი“ ყოფილა, რომლის გულში მხოლოდ არ მიფერფლილა უკანასკნელი ღვეული სარწმუნოებისა და საადაც შემდეგ უკვე განწმენდილი ციცხლი კვლავ გაღვივებულა. სოციალისტი ისტორიკოსი, რომელიც თქვენის თვალებით უყურებდა ფაქტებს, ასე სწერდა ერთ ამბავს საფრანგეთის რევოლიუციიდან: „ცხრა ტერმიდორის მეორე ღღეს ეკლესიები განიღნენ და არა მღვლებმა მოწვეეთო, არამედ თვით ხალხის სუფეილითა და წადილით. რელიგიოზური გრძნობა აღმოუფხვრელი ყოფილა კაცთა გულიდამ და ღვდლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეკას მხოლოდ გაეცეცხლებინა და გაეძლიერებინა ეს გრძნობაო“ — დასძინს იგი.

და თქვენ ნუ სწამებთ კილს ხალხს! თორემ რა ვიცით, თუ იმ ქვეყანაში, საცა დიდი სოციალისტი ჟორესი, მიუხედავად მეგობართა რისხვისა, თავის ქალს დედით გზავნედა ყოველდღიურად საზიარებლად, იმ ქვეყანაში, საცა „დიოკლეტიანე—მდევნელი“ კონგრეგაციები, სადაც ვალდეკ—რუსსო განისვენებს აღსარების შემდეგ, ჯვარით გულზე, თუ აი იმ ქვეყანაში ეკლესია ჯერ კიდევ ხალხის გრძნობაში და მსოფლ-მხედველობაში წარმოადგენს დიდს ძალას, რა ვიცით, რომ ნაკლები იქნება, მისი ძალა ჩვენ ქვეყანაში, სადაც არც ვალდეკ-რუსსო, არც მთელი მეთვრამეტე საუკუნის „განმათავისუფლებელი“ მწერლობა და მსოფლ-მხედველობა ყოფილა და საცა სამაგიეროთ არის ეკლესია, რომელ-საც ერის ისტორიაში და ტრადიციაში ფოლადათ ნაკვეთი კვალი შეუტანია და საცა არის ხალხი, რომელსაც მართალია ღმერთი დაკარგული ჰყავს, მაგ-რამ იგი სწამს და ჰპოვებს მას, როგორც ჰპოვა ინტერნაციონალიზმში დაკარ-გული სამშობლო.

აი, ბატონებო, ყველა ჩამოთვლილი მოსაზრებანი პოლიტიკური და პე-დაგოგიური ხასიათისა, დასავლეთ ევროპის ცხოვრება და გამოცდილება, ჩვენი ისტორიული პირობები შეუფერებლობა ჩვენი ერის ინტელექტუალურ და რე-ლიგიოზურ განვითარების დონესთან და მოთხოვნილებასთან, უსამართლობა სჯულის მასწავლებელთა წინაშე და ვვავალებს ხვენ დამოუკიდებელ ნაციონალურ პოლიტიკის მწარმოებელ ფრაქციას წინაღმდეგნი ვიყოთ ამ კანონ-პროექტისა

სპირიდონ კედია. (ერ. დემ.) პარლამენტის წევრნო! ამ ტრიბუნაზე არა ერთხელ გვქონია შემთხვევა აღგვენიშნა, რომ ძალიან ხშირად კანონ-პროექტს სრულიად შეუსწავლად განვიხილავთ ხოლმე და როდესაც შემდეგ ამ კანონ-პროექტის ცხოვრებაში გატარებას დავაპირებთ, დიდ დაბრკოლებას ვხვდებით წინ და კანონ-პროექტი თავის ძალას და მნიშვნელობას ჰკარგავს.

თუ როდისმე ასეთი მოვლენა სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს და უთუოდ ჩაითვლება, ეს უნდა ითქვას განსაკუთრებით დღევანდელ კანონ-პროექტის შე-სახებ. ამ მოვლენას შეიძლება დიდი ხიფათი მოჰყვეს და მეტად სამწუხარო იქნება.

ამ კანონ-პროექტით თქვენ ბრძოლას უცხადებთ, იმ სულიერ ბურჯს, რომელთაც ქართველი ერი სცხოვრობდა და მრავალი ასი წლის განმავლობაში იდგა მედგრად, რომლის გარშემო ქართველი ერი თავს და ცხოვრებისთვის ჰკრებდა თავის ენერგიას. ასეთი სულიერი ბურჯი იყო ქრისტიანობა და მისი მორალი, რომელიც ათასი წლობით სწრთვნიდა ქართულ ერის სულს, რომე-ლიც მრავალ საუკუნეში თვით შეიცავდა მთლიან ეროვნულ მცნებას და თავის დაცვას. აი სულიერი ბურჯი, რომელზედაც აღმოცენებულია ჩვენი კულტურის უუმშვენიერესი მხარეები. აი ეს სარწმუნოების მორალი, რომელსაც მქადაგე-ბელთ აუგეს საქართველოში მშვენიერი ნიმუშები ხელოვნებისა, რომლის მქადა-გებელთა დასწერეს დიდებული წიგნები, რომელთა წაკითხვა ადამიანს დღეს აღფრთოვანებს. ესოდენი დამსახურებული, ძვალ-რბილში ბამჯდარი ძალა ხელ-შეუხებელი, ძალა სულიერი, დღეს თქვენ ერთის ეერიშით, გსურთ მოსპოთ. წარმოდგენილი კანონ-პროექტის ძალით უნდა გაანადგუროთ. (მგელაძე: მუზე-უმში ავაწყოთ)

ნათქვამს გაგება უნდა, აი ჩვენ ვებრძვით ამას. ეს გარემობა, რომ ასე-თი მნიშვნელოვანი კანონ-პროექტი ჩვენ საზოგადოებაში, ჩვენი ერის ცხოვრე-ბაში არ იწვევს ერთიულ მღელვარებას და რომ იგი არ გამხდარა ჩვენ საზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადოებაში შეხლა-შემოხლის საგნად, ეს თავის თავად მაჩვენებელია არა იმისა, რომ ქართველი ერი სარწმუნოობის გარეშე დარჩა და სარწმუნოებას ყურადღებას არ აქცევს? არა, ეს აიხსნება ჩვენი უკულტურობით იმიტომ, რომ ამგვარ საზოგადოებრივი აუმუშაველობა ახასიათებს ამ კანონ-პროექტს, რომელიც ჩვენ მოგვეცა ამ რამდენი ხნის განმავლობაში. და ეს კი, ასეთი ინდეფერენტიზმი, ასეთი უკულტურობა სამწუხაროა, რასაკვირველია, და ჩვენი პარლამენტი ხელს უწყობს, რომ აჩქარებული ნაბიჯით წინ მიიღტოდეს და მე მგონი, რომ ჩვენი მოღვაწეობა ამაში არ უნდა მდგომარეობდეს.

აი ჩვენ ვებრძოდით ამ სულიერ ბურჯს, ჩვენ ვებრძოდით, უფრო საგნობრივ რომ ვილაპარაკოთ იმ ხალხს, რომელშიც ასეთი სულიერი ბურჯი ჩადგმული და არსებობს. ჩვენ ამ შემთხვევით, ვიმეორებ, არ გვესმის ქართული ხალხის სული; ჩვენ დაშორებული ვართ იმას.

აი აქ ვინც თავმოყრილი არიან ყველა ესენი ბატონებო, შეჩვეულნი არიან ფორმულებით აზროვნობას, პრინციპით ხელმძღვანელობას; ესენი შეჩვეულნი არიან აბსტრაქტიულ საგნებს, შეთვისებული აქვთ მხოლოდ ზოგადი კანონების მოვლენები.

მხოლოდ თვით სინამდვილე, რომელიც არის ჯამი მრავალი ათასი ობიექტიური წვრილმანი სინამდვილისა და განცდისა, აი ასეთი სინამდვილე მთელი თავის სირთულით ჩვენთვის უცნობი არის. და ვიტყვით, რომ ქართველი ხალხის, ქართველი გლეხის სულიერი სინამდვილე მთავარი, მისი არსებითი მხარე სწორედ ამ შემთხვევით უცნობი დარჩა და ჩვენ ვეხდავთ მათში იმას, რაც ძლიერად არის ჩამდგარი მათში, აი ეს სასულიერო სარწმუნოება.

ჩვენ კი, ბატონებო, რაც აქ ვართ იმასაც კი ვერ ვასწრებთ, რომ ერთი მეორის წინააღმდეგ დაწერილი საგაზეთო წერილები წაკითხოთ და ერთი მეორეს ანგარიში გაუწიოთ; ჩვენ კი გვაქვს დრო, რომ ჩვენ სულს ერთნაირი სარბიელი მივცეთ და გავაქნოთ ჩვენი გრძნობა-ძიება უფრო ღრმად და უფრო შორს; ჩვენ არ გვაქვს ამის შეძლება მაშინ, როდესაც იმ ქართველ ხალხს, იმ სამ მილიონს, რომელიც გაბნეულია ჩვენ საქართველოს ტერიტორიაზე, სულ სხვანაირად ესმის სინამდვილე; იმის სული ეძიებს სიმშვიდეს.

აი, ბატონებო, მისთვის არის მთელი შენობა რელიგიისა, სარწმუნეობისა' ესეთი დიადი მნიშვნელობისა.

აი, ბატონებო, რაკი არ გვესმის ჩვენ ხალხის რელიგია და სარწმუნოება, ჩვენ იმას ანგარიშს არ უწევთ და რომ ჩვენ ეს ასე გვემართება ეს ჩანს იქიდანაც, რომ მრავალი მშვენიერი ადგილები და დებულებანი, რომელნიც ჩვენს პროგრამებზია შეტანილი, როდესაც სინამდვილეს მიუახლოვდებით დაიმსხვრევიან ხოლმე და ჩვენ იძულებული ვართ შევაკეთოთ ისინი, ბევრი რამ დაუთმოთ, ან და სხვანაირად გამოვცეთ. და აი, ბატონებო, აქ იწყება დაშორიშორება ჩვენი გუნების და რეალობისა ხალხის გუნებასთან; და თუ ამ საკითხს მივაკცევთ ყურადღებას საჭირო არის ამას ანგარიში გაუწიოთ და თუ დავადგეთ ამ გზას, ამ ორ გუნების შერიგებით შევეძნათ უკეთესი მომავალი.

აი, ბატონებო, სწორედ ის საქმე უნდა მოხდეს ამ ხაკითხში და იმიტომ მე დღეს ფრიად სამწუხარო მოვლენად ჩავთლიდი იმას, რომ ეს საკითხი მორტო ხმის უმეტესობით და არა სხვა მოსაზრებათა ხელმძღვანელობით ესე სასწრაფოდ გადაწყდეს.

ამით ხალხს უჩანაგებთ, ხალხში ვანადგურებთ ამ რელიგიურ სამეფოს ამ რელიგიურ არსებას და მის თითქმის ბუნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ეექმნით იმ სიცალიერეს რომლის ამოვსება არ შეგვიძლიან, იმიტომ
რომ რელიგიის გამაერებას ვერ გასწევს ვერც მეცნიერება, ვერც რამე სხვა.

მე მოგახსენებთ, რომ ჩვენ ამ კანონ-პროექტით სარწმუნოებისაგან ცხოვრებასგვაცილებთ ეს მის ადგილს კი არაფერს არ ეაძლევთ. ასეთ შინაარსის კანონის მიღება, ეს არის ძალათ ჩანგრევა, არის განადგურება რომელიც შეიძლება სახიფათოთ შეიქმნას ჩვენი საზოგადო ცხოვრებისათვის.

იმავე დროს ჩვენ უცხადებით ბრძოლას, პრინციპიალურ ბრძოლას გამწვავებულს და შეურიგებელ კერძო საკუთრებას. მაგრამ შეიძლება სინამდვილე უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე პრინციპი; ვიდრე ფორმულა!

აი თქვენ საქართველოს სინამდვილეს, ქართულ ხალხს აკლია ორ ძალას, ორ პრინციპს, იგი არის ძალა რელიგიური და საკუთრება, რომელიც ქართული ერის ეკონომიური ძალებით ვითარდება და შენდება. და როდესაც ერთიანათ ამ ორ ძალას ჩანგრევთ, მე თქვენ ეკითხებით, რაზე უნდა აღმოცენდეს ნამდვილი წყობილება და სახელმწიფო (ს. დადიანი ს. ფ. ადგილიდან: მეოცე საუკუნე არის).

არსებულ კანონ-პროექტის ეესახებ, ბ-ნებო, მოგახსენებთ, შემდეგს: კანონ-პროექტში აღნიშნულია შემდეგი გარემოება: ყველა ტიპის სკოლებიდან იქნება იგი დაბალი საფეხურისა თუ მაღალის, ინნება იგი კერძო, თუ სახელმწიფოსი, უნდა იქმნეს განდევნილი საერმოთო სფეროს.

თქვენ ხალხს არ შეკითხებიხართ, თქვენ არ იცით ხალხის აზრი ამ საგანზე, აიღებს, თუ არა იგი ხელს სამღვთო სკოლებზე?

თუ არ გაქვთ უფლება, რომ ასეთ განსაკუთრებულ პირობებში შექმნილ კრებულს მიანდოთ ერთანარი უფლება, რომ ხალხის დაეკითხავად ასეთი ძალადობა ჩაიდენოთ და ეს ძლიერება გაანადგუროთ.

მე თქვენ ეკეკითხებით: აი ამ სკოლებს სხვა და სხვა ტიპისას ქართველი ხალხის ფული ინახავს, ჰო თუ არა?

თუ ჰო, მაშინ მე თქვენ ეკეკითხებით, გაქვთ თუ არა რამე უფლება, რომ სალხის დაეკითხავად ამ სკოლებზე ეერიზი მიიტანოთ და იმას, რაც ათას წლის განმავლობაში ზრდიდა ხალხს და სულიერად ამაღლებდა მას; მე მგონი, არა.

თუ ვინმე ამას გაბედავს, ჩვენ ვიღარ ვიქნით ამ ხალხში.

შემდეგ, ბატონებო, ჯერ არ გამოცხადებული აქტი, საქართველოს საზღვრებში, ეკლესიის სახელმწიფოსაგან განშორებისა. (ხმები მარცხნით: იქნება).

მართალია მე ამის მომხრე ვარ, მე ამისი არ მეშინიან რადგან ამის მომხრე ვარ, მაგრამ ჯერ ეს აქტი არ გამოცხადებული და მაშასადამე მთელი ცხოვრება სახელმწიფოსი და საეკლესიოსა ჯერ ერთს სხეულშია მოქცეული, და ეკლესია იკვეტება სახელმწიფოს ხაზინიდან და ასეთ დაჩქარებით, ასეთ სიშმაგით ამ სკოლიდან განდევნა ამ სამხთო რჯულისა ჩემთვის გაუგებარი რჩება და ეხლა ვამეორებ, თუ ეს მოხდა ეს იქნება დიდი დანაშაული ხალხის წინაშე.

აქ აღნიშნულია ერთი გარემობა: მართლაც და თუ სკოლებში სამხთო რჯულს ისწავლიან ამ სახით, იმ რიგათ, როგორც აქამდის ისწავლებოდა ეს ყოვლად შეუძლებელია. უთუოდ უნდა მოხდეს მისი გადახალისება; უთუოდ საჭიროა რეფორმატიული მოძრაობა.

სასულიერო საქართველოში მე მწამს რო ეს მოხდება და მას გამოუწნდებათავის მოძღვარიც საქართველოში. მაგრამ თუ ეს უნდა მოხდეს და გვიწერია რომ ხალხი სარწმუნოებას დაჭკარგავს და სხვა გზას აირჩევს, ეს უნდა მოხდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ამისთანა ძალდატანებით, ის კი რასაც თქვენ სჩადიხართ დაუკიცხავს ხალხის ამ საკითხის გადაწყვეტა ნამდვილი ძალდატანება არის.

ეს უნდა მოხდეს ევოლუციის გზით, თითონ ხალხის შინაგან არსებაში უნდა გადავიდეთ განცდის გადახრის გზით ერთი საუფუურიდან, მეორე საფეხურზე. მაშინ იქნება ეს კანონი ორგანიული ნაწილი მისი ბუნებისა. თუ თქვენ ასეთი ყაჩაღური წესით მივარდებით დაუშსებვრივი და დაუნგრევთ ხალხს სულიერ განვითარებას, გაანადგურებთ არსებულს და იმის ნაცვლად არაფერს არ მისცემთ; ასეთნაირი განადგურება ხალხისა სახელმწიფოს აღმშენებლობისათვის არაფერი მასალა. ამნაირად ეს გზა სახეთეათრო რჯულისათვის. ჯერ მისი სწავლის ფორმის დაცვა შემდეგ საბოლოოდ მისი განდეგნა სკოლიდან უნდა მოხდეს ევოლუციის გზით; ეს უნდა მოხდეს ნაწილობით, თვით ხალხის სურვილით, მისი ზრდით მისი შინაგან განცდით და შემდეგ... (ხმა მარცხნივ) ეს ხალხის სურვილია.

ამ შემთხვევაში თქვენ ერს ნაკლებად წარმოადგენთ.

შემდეგ მეორე კითხვა ჩვენთვის ბუნებრივ ვუუგებარია. ის სიჩქარე და ის სიმშიგე, რომლითაც განდათ ეს საკითხი გადასწყვეტოთ; ვიმეორებ, ამ საკითხს აქვს ულარესი მნიშვნელობა, იგი უფრო სათუო საკითხი არის ცხოვრებისთვის და იმიტომ ესეთნაირი სისწრაფე და სიშმაგე, ყოველ შემთხვევაში საუკრი არ არის.

არის მრავალი სხვადასხვა საკითხები სოციალური ხასიათის, პოლიტიკურ ხასიათისა, რომელნიც მოითხოვენ ყველა ელემენტების თანამშრომლობას და თავ მოყრას. ეს დიდი საკითხი გასხვავთ და ეს ასეთ დროს თქვენ აქ მოდიხართ სრულიად მოუმზადებელნი საკითხში უისტორიოთ, ეტნოგრაფიოთ, ერთობაშად აუქმებთ სამმართ რჯულს ერთი დაკვრით.

იცით თქვენ, რომ ამით შეიძლება გამოიწვიოთ აღშფოთება, უკმაყოფილება, მღელვარება? არის ხალხი მორწმუნე საქართველოში, რომელსაც შეეძლიან გავიდეს და ესე ილაპარაკოს, და ეს ბატონები, ასეთ ძნელ მომენტში ესეთნაირ მუგუზალს აგდებთ ხალხში, რის გამო ამ ხალხმა, შეიძლება ჩვენ ზურგიც აგვიკეცოს და დაბადოს ერთგვარი შინაური უბედურობა.

მე მგონი, რომ ერთნაირი პოლიტიკური ტაქტი, თუ რა არის საშური და რა არა, ამ შემთხვევაში, ჩვენ უნდა გვიჯობდეს ეს სწორედ ამ საკითხის გამოყოფას, სწორედ ამ საკითხის გადაპრას ამ პარლამენტში, რადგან არ შეიძლება, რომ ხალხს არ შევეკითხოთ, როდესაც იგი აქ მოვა.

დამფუძნებელი კრება ამას გაითვალისწინებს და იგი გადასწყვეტს ამ საკითხს.

აკაკი ფალავა. (ს.-ფ.) პარლამენტის წევრნო! მართალი გითხრათ, ერთგვარ გაოცებით ამოვედი მე კათედრაზე. მე მგონია, რომ ეს საკითხი არ იყო ისეთი დიდი და მნიშვნელოვანი, რა მნიშვნელობაა იმას, მისკენ აქ. (ხმა: რომელი საკითხი?) საკითხი საღვთო სჯულის სწავლის გაუქმებისა განსაკუთრებით დიდის პათოსით და მეურმეტყველობით უკანასკნელი ორატორი მეტყველებდა და იმას თითქმის არაფერი უთქვამს საღვთო სჯულის სწავლის შესახებ, არამედ საკითხი ისე დააყენა, თითქოს ჩვენ ქრისტიანიზმის და არამც თუ ქრისტიანიზმის, საერთოდ, ზოგადად, ყოველივარ სარწმუნოებას ვებრძვით და ამ მიზნით არ არის ეს კანონი წარმოდგენილი. გასაოცარი არის ის მსჯელობა რომელსაც ჩვენ აქ ვისმენთ. მის შემდეგ, რაც ყველა, არამც თუ სოციალისტური, არამედ უბრალო დემოკრატიულ პარტიების მიერ აღიარებული არის

საქართველოს პარლამენტი. გაზ. „საქარ. რესპ.“ დამატება № 106

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინიდისის თავისუფლება, მე ვერ გამიგია სწორედ, რა საბუთებით და რა
საზრებით ესე გაფრთებით ებრძვიან ორატორები ამ კანონ-პროექტს. ჩვენ
ქრისტიანიზმის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს და არც მის მოსპობას ვცდი-
ლობთ და ძალიან ბევრიც რომ ვეცადოთ, შეიძლება ვერ მოვსპობთ. ქრისტია-
ნიზმს აქვს ალბათ, თავის დამსახურება: შეიძლება მეტი, შეიძლება ნაკლები,
ვიდრე სხვა და სხვა რელიგიურ მოძღვრებას, მაგრამ დღეს ხომ არ არის ეს
სადაო საკითხი, ამნაირად არ არის საკითხი დასმული.

ბ. კედი მოგახსენებთ, რომ ქრისტიანიზმის საერთოდ და კერძოდ საქარ-
თველოში, დიდი დახმარება მოუძღვია. მიგვითითა ძველ ნაშთებზე, მწერლო-
ბაზე. მართალია, მე სავსებით ვეთანხმები ყველა იმას, ვინც ამბობს, რომ ქრი-
სტიანობამ დიდი ღვაწლი გაუწია კაცობრიობას. კერძოდ, საქართველოში,
მდიდარი და უშრეტი საღვთო ღა საეკლესიო ლიტერატურა გვაქვს ყდა ამას,
უეჭველია, ყველა ინტელიგენტი ყურადღებას მიაქცევს და შეისწავლის. მარტო
სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ენის შესასწავლად დიდი მასალა მოიპოვება
საქართველოს საეკლესიო ლიტერატურაში. აგრეთვე სხვა მასალა, მაგალითად,
ხუროთმოძღვრება ქრისტიანობიდან დარჩენილი. კიდევ შეიძლება მოგვეხდეს
ბევრი რამ საყურადღებო, მაგრამ ეს მხარე და საღვთო სჯულის სწავლების
საკითხი სულ სხვა და სხვა გახლავთ. ვერც ბ. სპირიდონი, ვერც ბ. ქარუმიძე
და ვერც სხვა ვერ იტყვის, რომ ეს საეკლესიო მდიდარი მწერლობა—ჩვენ შე-
გვასწავლეს სკოლაში. ვერვინ ვერ იტყვის, რომ ის ხელოვნება, რომელიც ქრი-
სტიანიზმმა მოგვასწოდა, ან და ქართული ეკლესიის ისტორია—შეეწყვლებით
ჩვენთვის ჩვენ საღვთო სჯულის მასწავლებელთ: მე, პირადად და ბ. ქარუმიძე
ერთ და იგივე სასწავლებელში ავდიოთ ზარდინი. ეს ის სასწავლებელია, რომელ-
საც მაღლა ეპირა ლამპარი ქართულ კულტურისა და თუ კი სადმე კიდევ სა-
უკეთესო საღვთო სჯულის მასწავლებელი მოიპოვებოდა. ეს იყო ჩვენ სასწავ-
ლებელში: მაგრამ საეკლესიო მწერლობას სულ სხვა მასწავლებელი გვიმარტა-
ვდა და საეკლესიო ისტორიას სულ სხვა გვასწავლიდა. აი ამგვარად იყო და
დღესაც არის საქმე დაყენებული. ქრისტიანიზმის დამსახურებას არავინ არ
ებრძვის. მით უფრო რელიგიას და სარწმუნოებას პირიქით, ჩვენ ვიცავთ
სრულს თავისუფლებას სინიდისას. ჩვენ ვიბრძვით იმისთვის, რომ ის, რაც ერ-
თისთვის სავალდებულო არის და თუ კი მას ზოგადი ხასიათი არ აქვს,—სავა-
ლდებულო არ იყოს სხვისთვისაც და ჩვენ, ამრიგად ამ მხრივ, ხოლოდ და ხო-
ლოდ საღვთო სჯულის სწავლის შესახებ ვგვაქ სჯა-ბაასი. აქ ბ. აბზაზაა საკით-
ხი ისე დააყენა, თითქმის ჩვენ ზნეობასაც ვეწინააღმდეგებით. მე აქ ხაზი უნდა
გაუსვა იმას, რომ ის დიდ შეცდომაში არის. ბ. აბზაზის ტრიუმვირატი: ეკლე-
სია, სკოლა და ოჯახი—ცუდი ტრიუმვირატი გახლავთ და იგი უნდა უკუ აგ-
დოთ. ჩვენი ბრალი არ არის, თუ მართლა დიადი მოძღვრება ქრისტიანიზმისა
წარყენეს და გააფუჭეს ეკლესიის მსახური. ამისთვის იმათ უნდა აგონ პასუხი,
ჩ არა ჩვენ. ზნეობა, ეთიკა, საჭირო არის. ჩვენ შეგვიძლიან საგანგებო, ახალი
კანონ-პროექტი მივიღოთ, ჩვენ შეგვიძლიან მომავალ სამოსწავლო გეგმაში ეს
საკითხი შევიტანოთ და ვილაპარაკოთ. მაშინ, ჩვენ ვნებენ სამოსწავლო პროგრა-
მაზე ლაპარაკი, მაგრამ დღეს ამაზე ლაპარაკი სრულიად ნაადრევი გახლავთ.
ბ. ქარუმიძემ. სხვათა შორის ბრძანა საღვთო სჯულზე, რომ თუ კი ჩვენ საღვ-
თო სჯულს მოვსპობთ, ვტოვებთ tabula rasa-ს, სრულიად ცალიერ ადგილს,
ცალიერ ფიცარს, საცა ყველას შეეძლიან, რაც უნდა ის დაეწეროს, მაგრამ
უკვე დიდი ხანია, რაც საღვთო სჯულის ადგილი ცალიერია. სამღვთო სჯულის
გაკვეთილზე არც ერთი მოწაფე არაფერს არ იძენს. ნუ თუ თქვენ გვიწყალებთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ საღვთო სჯულის გაკვეთილებზე რას ვსწავლობდით, (ხმა: ლოცვებს!) დიახ, ლოცვებს, ეს სქოლასტიური გაზეპირება ლოცვების, რომლის აზრი არ ესმის მოსწავლეს. შემდეგ, უფროს კლასებში ვსწავლობდით, მღვდელი როგორ უნდა შეიმოსოს, როგორ უნდა მოიხმაროს დიკოსი —დაასლოვებით ამას ვვასწავლიდნენ. და ამას, არავითარი სარგებლობა არ მოუტანია არც ხალხისთვის, არც ახალგაზდობისთვის. ჩვენ ვიბრძვით და ვსპობთ იმ უსმგავსობას, რომელიც დღეს დამყარებულია სკოლაში. ცალიერი ადგილი საღვთო სჯულისა დიდი ხანია არსებობს, ვინაიდან დადებით და შემოქმედებით აქ მასწავლებლების მიერ არაფერი არ ისწავლება.

აი ასე გახლავთ საქმე სამხთო სჯულის სწავლის შესახებ. სამღვდელოების შესახებ ბ. ქარუმიძეს მოიგონა 12 მარტის ნაბიჯი. ეს ნაბიჯი, რასაკვირველია სამღვდელოებისა მისაღები და მოსაწონი არის იმ მხრივ, რომ ქართველმა სამღვდელოებამ საჯაროდ მოიშორა სინოდის ოპეკა, და ამგვარად თავისი თავი თავისუფლად გამოაცხადა, მაგრამ, კიდევ უფრო უკეთესს იზამდა იგივე სამღვდელოება, ვიდრე ჩვენ პარლამენტში მივიღებდით ასეთ კანონს თითონ, თავის თავად ძალადობითი ოპეკიდან ხალხი გაენთავისუფლებინა. თუ ხალხის მკირე ნაწილსაც კი არ სწამს და არ უნდა ის, რასაც სამღვდელოება დღეს უქადაგებს, შეუძლებელია, რომ ჩვენ მივცეთ უფლება გაკეთონ ისე, როგორც მოქმედებენ დღეს. და, ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ აქ ბრძოლა ქრისტიანების, და საერთოდ სარწმუნოების წინააღმდეგ არ არის. არამედ, აქ არის გალაშქრება წინააღმდეგ სამეთო სჯულის სკოლებში დატოვებისა ან გვარადარა გვარადაც არის დღემდის. ზნეობას ვასწავლით, თუ რა პროგრამა იქნება ახალ სკოლებში შემუშავებული, ეს მომავლის საქმეა. დღეს კი ფაქტი ის გახლავთ, სამღთო სჯული არის tabula rasa. ამისთვის ხარჯის გაწევა არის ზედმეტი ბეგარა და ჩვენ დემოკრატიის ინტერესი გვავალებს, რომ თვითოეულ გროშ-კაპეიკს გაუფრთხილდეთ. აი ასეთი გახლავთ საქმე.

შემდეგ, მე გადავდიავარ თვით კანონ-პროექტზე. მართლაც, ეს კანონ-პროექტი ახდენს იმ შთაბეჭდილებას, რომ ნაუცბარად და ნაჩქარევად არის შედგენილი, რომ შინაგანი წინააღმდეგობაც კი არის. აი მაგალითი. პირველი მუხლი, რომელიც ასეთი არის: ყველა ტიპის და საფეხურის სახაზინო [illegible] კერძო უფლებიან სასწავლებლებში მოისპოს საღვთო სჯულის სწავლა [illegible] გაუქმდეს სამღვთო სჯულის მასწავლებელთა თანამდებობა.

აი ამ პირველ ნახევარზე ფრაქცია სოც.-ფედერ. ფიქრობს, რომ უნდა იყოს ნათქვამი: „ყველა ტიპის და საფეხურის სასწავლებლებში მოისპოს სამღვთო სჯულის სავალდებულო სწავლა". ვინაიდან არა სავალდებულო სწავლას ჩვენ არ უარყოფთ. იმიზე კომისიის წარმოდგენილი კანონ-პროექტის 4 მუხლი ამბობს, რომ შშობლებმა თუ მოისურვეს, თავის ხარჯზე, თავისუფალ დროს, მიეცემათ უფლება ასწავლონ თავიანთ შვილებს სამღვთო სჯული. მაშასადამე, თუ კი ეს ესე არის—პირველი მუხლი ეწინააღმდეგება მეოთხეს, და აუცილებლად საჭირო არის მოსპოს თვით პრინციპის დასაცავად და მიზნის მისაღწევად. შშობლების კონტინგენტი ამა თუ იმ სასწავლებლის ნაწილი მოისურვებს დეე, იმათ ისწავლიან. ამიტომ ამგვარად უნდა იყოს რედაქცია შეცვლილი:

„საავალდებულო სწავლა სამღვთო სჯულისა ყველა ტიპის და საფეხურის სასწავლებლებში უსათუოდ უნდა მოისპოს".

მეორე მუხლის შესახებ ჩვენ გვაქვს წმინდა სარედაქციო შესწორება. მხოლოდ არის ერთი მუხლი, სახელდობრ, მეხუთე, რომელსაც სოციალ-ფედერალისტთა ფრაქცია დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობის და იმ ხალხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურულ მდგომარეობის მიხედვით, რომელსაც ეს მუხლი შეეხება—უფრო გამოდგება და შესაძლოდ სდგავს, რომ ეს მუხლი დარჩეს იმ სახით, რა სახითაც არის წარმოდგენილი კომისიის მიერ. რაც შეეხება მე-6 მუხლს, ის უეჭველად უნდა შესწორდეს იმისთვის, რომ ჩვენ მართლაც რომ დიდ უსამართლოებას ჩაეიდნეთ, თუ კი დავტოვებენ ისე, როგორც აქ არის. და ვიტყვით, რომ შარიატის სწავლისთვის ხარჯი სახელმწიფო ხაზინის თანხიდან უნდა გამოვიღოთ. ეს იქნება დაბეგვრა ქრისტიანობის არაქრისტიანებისთვის. საერთოდ ყველა მცხოვრების დაბეგვრა, ერთ ნაწილის გულისთვის. და ეს ჩვენ მიგვაჩნია უსამართლოდ. შარიატის მასწავლებელთა ჯამაგირი მიეცეთ, არსებულ წესით, საზოგადო სასწავლებელთა სპეციალურ თანხიდან, ვინაიდან ჩვენ კულტურული და პოლიტიკურის მოსაზრებით იძულებულნი ვართ, რასაკვირველია, მხარი დაუჭიროდ მე-5 მუხლს. 6 მუხლი უნდა იყოს გასოთქმული, როგორც ამას მოგახსენებთ. მეშვიდე მუხლი ტეხნიკურის მოსაზრებით უნდა შესწორდეს აქ არის ნათქვამი: „ეს კანონი ძალაში შედის დღიდან იმის გამოქვეყნებისა“. მოგახსენებთ: შარშან და დღეს ნორმალური მსეელობა სკოლაში აიღო და ღიმ, ბეერი ცდის შემდეგ კალაპატში ჩადგა სასკოლო ცხოვრება. უკვე ნუსხა გაკეთილებისა არის შედგენილი და ეხლა დანგრევი იმისი, რაც არის გაკეთებული, არ არის სასურველი ჩვენთვის. და ამიტომ შესაძლებლად მიგვაჩნია არსებული მდგომარეობა დარჩეს დროებით და ეს კანონ-პროექტი ძალაში შევიდეს მომავალ სამოსწავლო წლიდან.

თავმჯდომარე. შემოტანილია წინადადება: შესწყდეს კამათი. ვინ არის იმის წინააღმდეგი, რომ შესწყდეს კამათი? უმრავლესობა. კიდევ გრძელდება.

სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს რაფიელ ივანიცკის.

რაფიელ ივანიცკი, (რ. ინგილო) (ნ. დ.) ბატონებო, ძალიან ძნელია პრინციპიალური მსჯელობა ამ საკითხის გამო. ძნელია ერთმანეთის დაჯერა, ან გადაჯერება იმაში, რაც ყველასათვის აშკარა და გამორკვეულია და რის შესახებაც გარდაწყვეტილება წინდაწინეე გამოტანილია. აქ მსჯელობა შეიძლება მხოლოდ კანონ-პროექტის მხოლოდ მიზანშეწონილებაზე. იმდენი საკითხი: რამდენად საჭიროა სახელმწიფოსთვის იმ წესის მიღება, რომელიც ნავარაუდევია ამ კანონ-პროექტით. მოსხსენებელმა ბ. ნათაძემ აღნიშნა, რომ მოსალოდნელია პარლამენტმა მიიღოს კანონ-პროექტი ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორებაზე, ეს კანონ-პროექტი მას წინ უსწრობს. ამიტომ ეს უნდა მივიღოთო. ბატონებო, სწორედ იმიტომ, რომ მოსალოდნელია და აღბად ახლო მომავალში განხორციელებული იქნება ეკლესიის განშორება სახელმწიფოსაგან. მე მგონია, ეს კანონ-პროექტი უკან უნდა იყოს წაღებული. ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკა ისეთ გზეს დაადგა, რომ ადრე თუ გვიან პარლამენტი ან მის შემდეგომ სხვა დაწესებულება უსათუოდ იქნიებს სჯა-ბაასს სარწმუნოებაზე და ეკლესიაზე. საღი სახელმწიფოებრივი მოსაზრება უნდა ცხად ჰყოფდეს ჩვენთვის, რომ ეს კანონ-პროექტი, როგორც ნაწილი იმისა, რასაც შემდეგში შეეხება საერთოდ კანონ-პროექტი ეკლესიის განცალკევებისა, შემოტანილი ყოფილიყო ან იმის შემდეგ ან მასთან ერთად ე. ი. მაშინ, როდესაც საკანონმდებლო ორგანო განიხილავდა ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფას. ხოლო, რადგანაც ჩვენ ჯერ ვცხოვრობთ ისეთ პირობებში, როცა სახელმწიფო და ეკლესია წარმოადგენენ განუყოფელ ერთეულს და ეკლესია ეოამედობს, როგორც სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი,—პარლამენტისთვის, ამ უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულებისთვის საჭიროებელია უნდა იყოს ამ ფარგლებში მუშაობა, რათა არ შეიქმნაოს უბრალო იურიდიული მოთხოვნილება: ამ კანონ-პროექტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორებს დაჰვიწყებიათ ჩვენი საპარლამენტო ტრადიცია. მოგეხსენებათ, ბატონებო, რომ პარლამენტში არსებობს ეგრედწოდებული სარწმუნოების კომისია, რომელსაც არ ვიცი, რა მოსაზრებით ჩვენი პარლამენტის პრეზიდიუმი ყურადღებას არ აქცევს და რომელიც პარლამენტის რეგლამენტის მე-32 მუხლის ძალით აქამდის დათხოვნილი უნდა ყოფილიყო. ეს კომისია არც კი შეკრებილა, და ამ კომისიაში არც ერთი კანონ-პროექტი არ შეტანილა, და ამ კომისიის რჩევას, ამ კომისიის აზრს არც კი შეჰკითხებიან. დღეს განათლების კომისიამ, რომელმაც შემოიტანა ისეთი სპეციალური საკითხი, ისეთი სპეციალური საგნის კანონ-პროექტს სარწმუნოების განდგევნისა სკოლებიდან, არ შეჰკითხებია ამ კომისიას, რომელსაც განსაკუთრებით რელიგიურ საკითხთა გამორკვევა აქვს დაკისრებული. მიღება განათლების კომისიის მიერ ხსენებულ კანონ-პროექტისა სარწმუნოების კომისიის შეუკითხავად, მისი აზრის მოუსმენლად არის, თუ განებავთ, იურიდიული საფუძველი კანონ-პროექტის უკან წაღებისა. მაშასადამე, ბატონებო, არის ორი მოსაზრება წმინდა ფორმალური ხასიათისა: ჩვენ არ გიდავებით თქვენს პრინციპზე,—თქვენთან პრინციპზე დავა ძალიან ძნელია და უშედეგო. ფორმალური წესებიდან დაცვას თქვენგანაც მოვითხოვთ. ერთი, ბატონებო, ეკლესია არის სახელმწიფოში მომქმედი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტი. ჯერ მისგან განუყოფელი და მოუშორებელი და მეორეც პარლამენტში საზოგადოდ ისეთი წესებია, როდესაც შემოდის განსახილველად და დასამტკიცებლად კანონ-პროექტები, რომლებიც ეხება რამდენინე კომისიის კომპეტენციას. კომისიები ვალდებული არიან ან საერთო სხდომა მოახდინონ, ან სხვა კომისიებს აცნობონ მაინც თვისი დადგენილება...

რაც შეეხება არსებითად ამ კანონს-პროექტს, მე მინდა მხოლოდ ისეთი მოსაზრება გავუზიაროთ: ჩვენ, ბატონებო, ვკანონმდებლობთ არა მარტო იმისათვის, რომ ეს თუ ის კანონ-პროექტი ძალდატანების აპარატის საშუალებით ცხოვრებაში გავატაროთ უსათუოდ დემოკრატიული დაწესებულება უნდა ზრუნავდეს აგრეთვე იმისთვის, რომ ჩვენ მიერ დაწერილი კანონები ხალხის მიერ შეწყნარებული იქნნეს,—იმ დემოსის, დემოკრატიის მიერ რომლის სახელით აქ ასე ხშირად ლაპარაკობთ რას მოითხოვს ქართველი ხალხი, ბატონებო? აქ მგონი, ბ. ნინიძემ სთქვა, (ნინიძე: მე არაფერი მითქვამს) ვინ დაეკითხნენ, ან ვისგან იყო შედგენილი ის აუარებელი მოთხოვნილებები, რომელიც საკთალიკოსო საბჭოს საშუალებით წარმოდგენილი იქნა პარლამენტში (ნინიძე: ოუსიამ სთქვა) და ვინ დაუწერაო? ამაზე მე უნდა მოგაგონოთ შემდეგი: საქმე იაშია, რომ როდესაც ხალხს ნამოქმედიარი სასარგებლოა მემარცხენე სექტორისათვის ყოველთვის ისე გამოდის, რომ ხალხს ნამდვილად უთქვამს, ან ეუწმარიტად გამოუთქვამს სურვილი, მაგრამ როდესაც ხალხის ზრახვა ეწინააღმდეგება ამ სექტორის სოციალ პოლიტიკურ ლოზუნგებს, მაშინ უსათუოდ სხვა ვიღაც ალაპარაკებს ხალხს... ასე იყო ბატონებო, როდესაც ლეხუმმი და დუშეთში გლეხობა პირველ ნომერს უყრიდა კენჭებს და ეს იყო დემოკრატიული გამოსვლა, ხოლო როდესაც იმავე ლეხუმმი და დუშეთის აზრაობი მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაცია და შემდეგ შეიარაღებული აჯანყება დაიწყო, მაშინ მთავრობის თავმჯდომარემ ერთ-ერთ მიტინგზე გამოაცხადა—ეს არის ვანდეის ნიშნები, ასეთიაო სთქვა მაშინ პრეზიდენტმა მოუმზადებელი, განუვითარებელი გლეხკაცობა და ასეც უნდა მოქცეულიყო სწორედ მთავრობის წინააღმდეგ უნდა გამოელაშქრნა.... და მე გეკითხებით ბატონებო, როდის იყო მართალი ეს მლეხობა. დღეს ბატონები, თქვენ არჩევთ ისეთ საკითხს, რომელიც ერთი ორატორის თქმისა არ იყოს, უაღრესი მნიშვნელობისაა და რომელსაც შესაძლებელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰყვეს დიდი უსიამოვნება. რაშია საქმე? ჩვენ ერთი ხელის გასმით ვსპობდ-ით ამას, რაც საუკუნეებმა უსოვარ დროიდან ჩაგვაბარეს და ეხლა ჩვენი ერთი ნა-ჩქარევი, უხეირო კანონ-პროექტით გვინდა ძირითადი ცვლილება შევიტანოთ ისეთ საკითხში, რომელიც ეხება მცხოვრებთა დიდი უმრავლესობის ინტერესებს. არა ვართ მოწადინებული ბატონებო, უსათუოდ დავამყაროთ საქართველოში კლერიკალური წესწყობილება, არ გვინდა მოვახვიოთ თავზე ის, რაც ქართველ ხალხს შეგნებისთვის მისაღები არ არის. რმაშ რათ გინდათ თქვენ მოახვიოთ ქართველ ხალხს ის, რაც ქართველ ხალხისთვის მიუღებელია. რატომ გინდათ ქართველ ხალხს წაართვეთ ის, რასაც ნებაყოფლობით არ ეძლევათ?! როცა ბატონებო, აქ თქვენ უკვე ბითხრეს აუარებელ სოფლების განაჩენებზე, რომელიც განათლების მინისტრის პროთფელშია, მე არ ვიცი, როგორ უყურებს ამას მე-მარცხენე სექტორს მე კი ვშიშობ, რომ ვანდეა სწორედ ამედან დაიწყება... შესაძლებელია, თქვენ ამ კანონ-პროექტით ისეთი არეგ-დარეგა შეიტანთ ქართველი ხალხის გონებაში, რომ ყირამალა დაატრიალოთ მთელი სახელმწიფოს ცხოვრება და უფსკრულში გადასჩეხოთ საქართველო სახელმწიფოებრივად მოწყობის შესაძლებლობაც კი... მე მშინაენს და მაწუხებს, რომ განათლების კომისიას, რომელმაც თავს იდვა ასეთ კანონ-პროექტის წარმოდგენა ეროვნულ საბჭოში, ასეთი პერსპექტივები არ ჰქონდა მიღებული მხედველობაში, თორემ ყოველ შემთხვევაში. დაუცდიდა იმ დროს, როდესა დაკანონდებოდა ეკლესიის სახელმწიფოდან ჩამოშორება.

და მივიღებით ყველასთვის სავალდებულოდ. რადგანაც ეს ჯერ არ მიმზდარა, შეუძლებელია ასეთი გამონაკლისის დადასტურება... კანონ-პროექტი, არც იურიდიულად და არც არსებითად დღეგანდელს ურთიერთობაში ჩვენთვის მისაღები არ არის. მე არ ვიცი, ვის ვებრძვით ჩვენ, რაცა სკოლებში საღვთო სჯულს ვსპობთ. ვის ეიმებით, ბატონებო? კლერიკალებს? რომლითაც, ვითომდა გაღელვნილია ჩვენი საცოდავი სამღვდელოება, ებრძვით სამღვდელოების გაგ-ლენის ზრდას ხალხზე? თქვენ ხომ კარგად მოგეხსენებათ, რომ საქართველოში სამღვდელოება დაშორებული და მოკლებული ყველა ამას. თუ თქვენ გინდათ გადმოტანათ ის, რაც საფრანგეთში და მოკლებული ყველა ამას. თუ თქვენ გინდათ ბრძოლობა ესაჭიროება და თუ თქვენ გგონიათ, რომ საქართველოში სამღვდელოება ისეთივეა, როგორც კათოლიკოპის ქვეყანაშია, კონტრგეაციების სახით საფრანგეთში, თუ გინდათ საქართველოს სამღვდელოებას ეს მოახვიოთ, რაც მე მოგთხოვთ მცირე ჩაფიქრებას. რომ ეს სამშინელი ლანდები თავიდან მოგეცილდეთ ის, რაც პირნათლად და გულწრფელად სთქვა თქვენმა ორატორ-მა ბ. დოლიძემ მართლა სათქმელი იყო. მან სთქვა ის, რაც ყველა თქვენგანს ჩამარხული აქვს გულში, მაგრამ არ ამბობენ. თქვენ ხედენით „ცოუ-მორწმუ-ნოებას“ და ქრისტიანობას ბრძოლას უცხადებთ ამ ნიადაგზე. თქვენ კარგად მოგეხსენებათ შინაარსი ქრისტიანული მოძღვრებისა, იცით, რა არის მისი დე-და-აზრი და ნუ თუ ცრუ-მორწმუნეობაზე მეტი ვერა ალმოაჩინეთ-რა მასში?! ბატონმა დოლიძემ არც აცივა, არც აცხელა და პირდაპირ გამოაცხადა: „ქრი-სტიანობა წარმოადგენს ცრუმორწმუნოებას, რომელიც ეწინააღმდეგება ჩვენს პოლიტიკურ მოძღვრებას, ეწინააღმდეგება დემოკრატიულ სულის კეთებას და რასაკვირველია, უნდა მოვსპოთ“-ო.

ჭინად თქვენ აცსადებდით, რომ იცავთ სინიდისის თავისუფლებას, ეხლა კი გაიძახით, რომ ებრძვით ცრუმორწმუნოების გავრცელებელ ინსტიტუტს. თავი დავანებოთ პრინციპიულ ბაას და ვეკითხოთ: თვით სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს, რომ ეს კანონ-პროექტი, რომელიც ეხება ხალხის, საარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებო ინტერესებს. ასეთი აჩქარებული ტემპით გავატაროთ პარლამენტში. რე ნაწილი წარმოდგენილ კანონ-პროექტისა ეხება მაჰმადიანების სარწმუნოების სწავლებას და აქ მომხსენებელმა გამოსთქვა ერთი უცნაური აზრი და დამტკიცა, რომ მას ისევე აქვს წარმოდგენილი მაჰმადიანთა სარწმუნოება, როგორც ქრისტიანობა? მაჰმადიანთა სჯულის სწავლების თაობაზე მან სთქვა, რომ დატოვებული იქნება სასწავლებლებში საღვთო სჯულის სწავლება კი არა, არამედ მხოლოდ ზარიათი! ეს სარწმუნოების შესწავლა არ არისო, აღიარა მომხსენებელმა ეს მხოლოდ დაავიწყდა ეთქვა, რომ ზარიათი სავსებით დაფუძნებულია მაჰმადიანების სარწმუნოებაზე და სავსებითვე მომდინარეობს მაჰმადიანთა სჯულის წიგნი—ყურანიდან. და თუ მომხსენებელმა ეს იცის, რად შეჰყავთ შეცდომაში პარლამენტის წევრები... მეორე მოსაზრება მომხსენებლისა იყო პოლიტიკური ხასიათისა. ის ლაპარაკობდა, რომ ჩვენ დღეს-დღეობით დავტოვეთ ზარიათის სწავლა მაჰმადიანების სასწავლებლებში, რათა არ დაგვეფრთხო მაჰმადიანები და არ იფიქრონ, რომ უერთდებიან ისეთ სახელმწიფოს, რომელიც უდიერად ეპყრობა სარწმუნოებას. მაგრამ, ბატონებო, იგივე მაჰმადიანები, როცა დაინახავენ და დარწმუნდებიან, რომ ჩვენ ვართ ავტორნი ასეთ კანონ-პროექტისა, რომელნიც უპატიოდა ჰხდის ჩვენი ხალხის უმრავლესობის სარწმუნოებას, რელიგიურ გრძნობას, როდესაც ჩვენგან გამდგარი მაჰმადიანები დაინახავენ, რომ ჩვენ აქ ვაკანონებთ ისეთ წესებს, რომელ. ნიც ურახა ჰყოფენ და ჰსპობენ სარწმუნოებასა და ღვთის შეტყვეელების "შესწავლის საშუალებას" მაშინ გარწმუნებთ ისინი გაერთიანებაზე კი არ ფიქრებენ, ისისი იფიქრებენ, რომ სჯობს არ შეუერთდნენ იმ სახელმწიფოს, რომელიც ასე უდიერად ეპყრობა სარწმუნოებასო. და მათ ვერც უსაყვედურებთ ჩვენ.

დღეს ჩვენ ასე ვეპყრობთო ქრისტეს სარწმუნოებას, შემდგომ კი ამავე გზას დავადგებით მაჰმადიანების შესახებაც. ჩვენ არ დავიზარებთ ამისთანა კანონ-პროექტის შეთხზვას მაჰმადიანთა მასსისთვის. მე მგონია, რომ ამ კანონ-პროექტის აჩქარებით შემოტანა გამოწვეულია მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ დაამტკიცონ მმართველი პარტიის უადგილო დემოკრატიზმი, რომელზედაც ამ კათედრიდან დოლიძე მიგვითითებდა. მართალია, ნ. ეორდანიამ განაცხადა, რომ საქართველოს სახელმწიფო სუფთა. ფიცარია, რაზედაც, ალბად, სოც.-დემოკრატია აღბეჭდავს პოლიტიკურ სიბრძნეს, მაგრამ თუ ასეა ჩვენ ვრწმუნდებით, რომ წარწერა ფიცარზე უკვე არის და ჩვენ წარბულ ცხოვრებასა და ბამოცდილებას მასზე ბევრი საუკეთესო მეცნიერებანი გამოუსახავს, სამაგიეროდ სოციალ-დემოკრატები გულმოდგინეთ ჰშლიან ყოველ წარწერას, ხოლო ახალი. წარწერანი ხეირს არ გვიქადიან. და მე ვწუხვარ, რომ შესაძლოა მართლაც ისეთი ფიგო რამ დავწეროთ ამ ფიცარზე, რაც საბედნიეროო იქნება საქართველოსთვის და ქართველი ხალხისთვის. სიმართლე მოითხოვს ვთქვა, რომ ჩვენი სოციალისტური მთავრობა არც ისე ფიგორად ეპყრობა რელიგიის მსახურთ თქვენ იცით, რომ, როდესაც კვდება სარწმუნოების წარჩინებული წარმომადგენელი, სოციალისტური მთავრობა არ ჰზოგავს ათასობით ფულის გაღებას მდიდარ კუბოს შესაძენად, პატივისცემა კი ჩემის აზრით საჭიროა არა მარტო განსვენების დროს,—პატივის ცემა უნდა გამოიჩინოთ მაშინაც, როცა ეხებით რელიგიურ დაწესებულებას მომქმედსა და ცოცხალს რომელიც, ხალხსა სწამს და პატივით ეპყრობა. (ნენიძე-ცოცხლის განსვენება არ შეიძლება), სოციალ-დემოკრატებს, სხვათა შორის, სჩვეთიათ, ხშირად ნათლი-მამობის გაწევაც, და ამ საქციელის დედ-მამის პატივისცემითა ჰხსნიან. მე მგონია, ეს პატივის ცემა სავალდებულოა არა მარტო დედა მამისადმი, არამედ ხალხისადმისაც,

80]

3.32/158

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავალდებულო უნდა იყოს. თქვენ ამ ნათელ მირონობას, ბოდიშს ვიხდ[illegible] პარლამენტარულ სიტყვისთვის, ისეთი ყაჩაღურის წესით, საჩქაროდ და დაუკითხავად სტაცებთ დემოკრატიას, რომლის საბელი დღე—მუდამ ჭირზე გადგათ. აი, ბატონებო, სარწმუნოებაზე არი ერთი სოფლის, რომელიც თავიდან ბოლომდინ სოც.-დემოკრატებს ანიშებს ხმებს. ამ სოფელში გაეძევებინათ მღვდელი როდესაც სოფელს შეეკითხა ერთი ჩვენი საეკლესიო მოღვაწე (ხმა—ტერტერა) რისთვის სდევნის სოფელი მღვდელს, იქნებ მათ ეკლესიის საწინააღმდეგო აქვთ რამ, გლეხებმა უპასუხეს—გვინდა მოვიშოროთ მხოლოდ უფროსი მცვდელი, ხოლო რაც შეეხება სარწმუნოებას, ჩვენ ამ სარწმუნოებას დავიცავთ მუდამ და ვნახავთ, რომელი იქნება ის მთავრობა, რომელიც სარწმუნ[illegible]ებას მოგვაშორებს თავიდანო. მაგრამ, დამშვიდებულნი იყავით, რადგანაც მუქარას არ გითვლით არც შიშს ჩანერგავ მინდა თქვენ ში, რადგანაც თქვენ ხელთ არის ძალდატანების აპარატი, რომლის შემწეობით დაამხობთ ქართველი დემოკრატიის უკმაყოფილებას. ჩვენ მაინც გაფრთხილებთ, რომ დემოკრატიულმა თავრობამ და დემოკრატიულმა პარლამენტმა ისეთი ნაბიჯი არ გადადგას, რომელსაც ქართველი ხალხი არ შეიწყნარებს და თუ კი თქვენ მაინც გადადგით ეს ნაბიჯი და განათლების კომისიის მიერ წარმოდგენილი კანონ-პროექტი მიიღეთ, მაშინ შეიძლება მის წინააღმდეგ პარლამ[illegible]ტის შემარ[illegible]ვენე სიტ[illegible]ტრომა კი არ ასწიოს ხელი, მის წინააღმდეგ ამხედრდება მთელი ქართველი ხალხი... ეს კი არც თქვენთვის და არც მით უმეტეს სახელმწიფოს მთლიანობისთვის ხელსაყრელი არ იქნება...

თავმჯდომარე. შემოტანილია წინადადება, რომ კამათი მოისპოს. კენჭს უყრი ამ წინადადებას. კამათი გათავებულია.

მეორე წინადადება—კრება გადაიდოს. კენჭს უყრი. კრება გადადებულია. კრებას ვხურავ.

კრება იხურება 4 საათზე 55 წუთზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა